# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 12 მარტი, 2015 წელი.

№46 (7691)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.



## „21 მარტს ნაციონალური მოძრაობის გონების დაბნელებასთან გვექნება საქმე!“

ვინ – ვის?

### „ივერიონს“ ესაუბრება ანალიტიკოსი ნანა დევდარიანი

**– ქალბატონო ნანა, ნაციონალური მოძრაობა 21 მარტს ფართომასშტაბიან აქციას აწყობს. ის ხელისუფლებას დაპირების შეუსრულებლობაში, ლარის გაუფასურებასა და ზოგად უუნარობაში ადანაშაულებს და, აქედან გამომდინარე, მის გადადგომას მოითხოვს. თქვენი აზრით, რა შედეგი მოჰყვება ამ აქციას?**

– ეს აქცია უშედეგოდ დასრულდება. შსს მზადაა პროვოკაციის აღსაკვეთად. დადის ხმა, რომ ნაციონალურ მოძრაობას სპეციალურად ამ აქცისთვის ჩამოჰყავს სნაიპერები. ჩემი აზრით, ის ამოვარდა დროის მდინარებიდან და თვითონ სჯერათ იმის, რაზეც საკუთარ ვიწრო წრეში საუბრობენ. ლარი კი არა, ევრო გაუფასურდა ევროპაში, ხოლო ნაციონალური მოძრაობა არის პოლიტიკური ძალა, რომელიც მოქმედებს ამ პრინციპით: რაც უარესი, მით უკეთესი!“

**– თქვენი აზრი, დაუჭერს თუ არა ხალხი მხარს ნაციონალურ მოძრაობას, კონკრეტულად 21 მარტის აქციას?**

– მხარდამჭერები მივლენ, მაგრამ არა ყველა, რადგან ეს აქცია იდიოტიზმია. ნაციონალური მოძრაობა ახალ ხელისუფლებას 2 წელიწადში ეუბნება გადადექიო, როცა თვითონ 9 წელი კარგავდა ქართულ ტერიტორიებს და მათ დამოუკიდებლობას რუსეთს აღიარებინებდა. ახალ ხელისუფლებას ის დაპირება მართლაც აქვს შესასრულებელი ხალხისთვის, რომ ესენი ციხეში ჩასვას, ხოლო პრობლემებზე ხალხი თავად ისაუბრებს – ნაციონალურ მოძრაობას ამაზე საუბრის მორალური უფლება არ აქვს!

**– ნაციონალურ მოძრაობას თავისი მმართველობის პერიოდში საკრალურივით ამოჩემებული ჰქონდა ხოლმე ესა თუ ის რიცხვი. ახლაც, 21 მარტის აქცია 20 მარტის მზის დაბნელებას დაემთხვა. როგორ ფიქრობთ, ეს თარიღი სპეციალურად შეირჩა თუ დამთხვევაა?**

– ცნობილია, რომ სააკაშვილი აბოდებდა რიცხვ ხუთზე. „არჩევნები“ 5 იანვარს ჩაატარა, გახსოვთ. ხელისუფლებაში მოსასვლელად 22 ნოემბერს, მთავარანგელოზობის დღეს, მოაწყო გადატრიალება, მაგრამ, რადგან მიქელ გაბრიელის სახელთან რევოლუციის დაკავშირება არამომგებიანი იყო, ის 23 ნოემბერს, გიორგობას, დაუკავშირა, თითქოს ის წმინდა გიორგის სახელით იყო მოსული.

20-21 მარტს მზის კი არა, ნაციონალური მოძრაობის გონების დაბნელებასთან გვექნება საქმე.

**– როგორ შეაფასებთ თბილისის მერის მუშაობასა და ალექსანდრე მარგიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ ახალ სააგენტოს, რომელმაც წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი?**

– არ მეგულება ხელისუფლება, სადაც კორუფცია არ ყოფილა. ჩინეთშიც კი, სადაც კორუფციისთვის სიკვდილით სჯიან, პრობლემურია ეს საკითხი.

რაც შეეხება ალექსანდრე მარგიშვილის ახალ სააგენტოს, რომელმაც თბილისის წვრილი და საშუალო ბიზნესი უნდა განავითაროს, მართლაც შეუძლია შექმნას სამუშაო ადგილები და დაეხმაროს ბიზნესს!

ესაუბრა
**ია ჯღარკავა**



## გია ხუხაშვილი: ხელისუფლებამ უნდა დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ლარის გაუფასურების დასაძლევად რეალური ინსტრუმენტები და გეგმები აქვს

③

## ვინ უნდა აგოს პასუხი საყდრისის განადგურების გამო?

⑤



## რა ცვლილებები შედის მიწის ნაკვეთის საშენებლოდ გამოყენების პირობებში?

④

## დაგროვებითი პენსია 2017 წლიდან გაიცემა?

②



## ჭიათურას მანგანუმის მომპოვებლები... SOS! აბინძურებენ!

⑧

## 21 მარტი, რომელიც მოძალადე, დამნაშავე ნაციონალური პარტიის ნარჩენებმა „ახალი ფერადი რევოლუციის დღედ“ დანიშნეს, თვითონ ამ ნარჩენების დასამარების დღედ უნდა იქცეს!

### ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| EUR | 1 | ევრო | 2.3497 |
| USD | 1 | აშშ დოლარი | 2.1839 |
| GBP | 1 | დიდი ბრიტანეთის გ/სტ. | 3.2933 |
| RUB | 100 | რუსული რუბლი | 3.5812 |
| AZN | 1 | აზერბაიჯანული მანათი | 2.0917 |
| AMD | 1000 | სომხური დრამი | 4.5507 |
| UAH | 10 | უკრაინული გრივნა | 1.0462 |
| TRY | 1 | თურქული ლირა | 0.8290 |

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

ალიან-ჩალიანი

## კონცენტრირებული ვართ იმაზე, რომ საქართველოში ეკონომიკური პროცესები გააქტიურდეს



**ამის** შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამგებლებთან, მერებთან და გუბერნატორებთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, აღნიშნული აუცილებელია, რადგან ის რეგიონების განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

„ეკონომიკური განვითარება თითოეული რეგიონის, თითოეული მუნიციპალიტეტის დონეზე არის ჩვენი მთავარი პრიორიტეტი. მნიშვნელოვანია, დავაჩქაროთ ინფრასტრუქტურული ტემპები, რაც რეგიონული განვითარებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი“, — განაცხადა პრემიერმა.

ამასთან, მთავრობის მეთაურმა ზოგადად რეგიონში განვითარებულ პროცესებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად კონცენტრირებულია იმაზე, რომ მიმდინარე პროცესების საქართველოზე უარყოფითი გავლენა უახლოეს პერიოდში იქნას დაძლეული.

პრემიერი გამოდის ინიციატივით, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები 2-3 თვეში ერთხელ გაიმართოს.

„მე მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით. ეს არის კარგი წამოწყება და ვფიქრობ, რომ ეს ტრადიცია უნდა დავამკვიდროთ. ჩვენ შეგვიძლია შევთანხმდეთ ყოველ ორ ან სამ თვეში ერთხელ შეკრებაზე, რათა ერთად განვიხილოთ, ერთიანი ძალისხმევით ვიმუშაოთ და ვიმსჯელოთ რეგიონებში წლების განმავლობაში დაგროვილ პროექტებზე“, — მიმართა პრემიერ-მინისტრმა შეხვედრის მონაწილეებს.

## მილიარდზე მეტი დავალიანება ჩამოიწერება

**საგადასახადოს გადამხდელთა გარკვეული კატეგორიის დავალიანებისგან გათავისუფლების შესახებ ბრიფინგი შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა გამართა.**

**მისი ინფორმაციით, შემოსავლების სამსახური საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას ახორციელებს 2014 წლის 12 დეკემბერს „საგადასახადო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებების მიხედვით. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ჩამოწერას დაექვემდებარება 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ცვლილების ამოქმედებამდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანება, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება. ასევე, 2009 წლის 1 იანვრამდე აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა აღიარებული გადასახადის თანხით გადახდის პირობით თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება, ასევე შეღავათები შეეხო საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის ფიზიკური პირებისთვის 2013 წლის 1 იანვრამდე დარიცხულ ჯარიმას.**

**ხატია მოისწრაფიშვილის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით 3 612 გადასახადის გადამხდელს 334 მილიონ ლარზე მეტის ოდენობით დავალიანება უკვე ჩამოეწერა, ეს პროცესი კი სრულად, სავარაუდოდ, სექტემბერში დასრულდება და 20 ათასზე მეტ გადამხდელს შეეხება.**

სოციუმი

## დაგროვებითი პენსია 2017 წლიდან გაიცემა?

**მთავრობაში დაგროვებით პენსიაზე გადასვლას 2017 წლისთვის ვარაუდობენ, რეფორმის კონცეფცია საბოლოოდ წლის ბოლოსთვის იქნება მზად. დაწესდება გარკვეული ზღვარი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას და ვინ — ვერა. სავარაუდოდ, მამაკაცებისთვის მინიმალური ასაკი იქნება 45 წელი, ქალბატონებისთვის კი - 40 წელი.**

საპენსიო რეფორმის ჯგუფი მუშაობს ინფლაციური რისკების დასაბალანსებლადაც. „დიდი სიფრთხილეა საჭირო ასეთი ფონდის შექმნისას, არსებობს ბევრი პრობლემა როგორიც არის ფონდის რისკიანობა, რამდენად დაცული იქნება ეს აქტივები, რამდენად დაცული იქნება მომხმარებელი ინფლაციური პროცესებისგან. ამ საკითხებზე ვმსჯელობთ და ვმუშაობთ, როგორ უნდა მოხდეს ამის დაბალანსება“, — აცხადებს საპენსიო რეფორმების სამსახურის ხელმძღვანელი ოთარ ძიძიკაშვილი.



საპენსიო ფონდის გააქტიურებასთან ერთად მუშაობა მიმდინარეობს კაპიტალური ბაზრის ახალი ინსტრუმენტების ამოქმედებაზეც, რადგანაც ფონდში აკუმულირებული სახსრები კომპანიამ შემოსავლის წყაროდ უნდა აქციოს და ინვესტირება მოახდინოს, რისი შესაძლებლობაც ახალი ინსტრუმენტის ჩამოყალიბების გარეშე ამ ეტაპზე არ არსებობს.

ოთარ ძიძიკაშვილის ინფორმაციით, მსჯელობა მიმდინარეობს სხვადასხვა ვარიანტზე — გარდა საბანკო დეპოტიზებისა, სახელმწიფო და კორპორატიული ობლიგაციებისა, სხვა რა ინსტრუმენტები შეიძლება შეიქმნას.

რაც შეეხება საპენსიო ფონდის მმართველს, „კომერსანტის“ ინფორმაციით, ეს იქნება უცხოური კერძო კომპანია, რომელსაც მსგავსი ფონდის მართვის გამოცდილება აქვს. ამ ეტაპზე არც ერთ კომპანიასთან მოლაპარაკება დაწყებული არ არის, რადგანაც რეფორმის დეტალები ჯერ ისევ მუშავდება.

რას გულისხმობს კერძო დაგროვებითი სისტემა? ეს არის შენატანი, რომელიც შეაქვს ყოველთვიურად დამსაქმებელს და დასაქმებულს კერძო საპენსიო ფონდში, ანუ მას ეძლევა ფინანსური შეღავათი იმისათვის, რომ თანხა დაზოგოს, რეალურად ის წამახალისებელია, რომ დასაქმებულს დაზოგვის სტიმული ჰქონდეს. ქვეყნებში, სადაც ეს რეფორმა ხორციელდება, არის ფინანსური წახალისების ინსტრუმენტები, სხვა შემთხვევაში ეს რეფორმა არ განხორციელდება.

დასაქმებული ადამიანი იქნება უპირატეს მდგომარეობაში, მას ექნება სრული თავისუფლება მიიღოს ან არ მიიღოს მონაწილეობა დაგროვებით საპენსიო სისტემაში.

ამ სისტემის მიხედვით, კომპანია ვალდებული იქნება, რომ გარკვეული პროცენტი შესთავაზოს დასაქმებულს საპენსიო დანამატის სახით. „კარგი იქნება, თუ ეს პროცენტი იქნება 2-ის ტოლფასი. მაგალითად 2%-ს გადარიცხავს ყოველთვიურად დამსაქმებელი დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე, თუ დასაქმებული დათანხმდება ამ სისტემაში ჩართვას, მაშინ მასაც ექნება ვალდებულება, რომ თავისი შემოსავლიდან 2% გადადოს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოც ერთვება, როგორც მესამე მასტიმულირებელი რგოლი და ისიც დამატებით 2%-ს გადაურიცხავს დასაქმებულს თავის ანგარიშზე, ანუ რეალურად ადამიანის მიერ შეტანილი 2% იმავდროულად ხდება 6%. ეს გროვდება ყოველთვიურად და ყოველწლიურად, რასაც ემატება ფონდის მიერ გამომუშავებული მოგება და შესაბამისად აქტივები იზრდება“, - ამბობს ძიძიკაშვილი.

საჯარო პოლიტიკის ცენტრის მკვლევარი ანდრია ურუშაძის აზრით, ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ტიპის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა საპენსიო დანაზოგებს თავისი რისკი ახლავს საინვესტიციო მიმართულებით. კერძოდ, პოლიტიკური დაპირებებით გაცემული ვალდებულებები შეიძლება უარყოფით გავლენას ახდენდეს საპენსიო სისტემის მდგრადობაზე, ამიტომ „თავად სისტემა აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური შემადგენლისგან“. მისი თქმით, ჩილეში, სადაც პირველად დაინერგა კერძო საპენსიო დაგროვების ალტერნატიული სისტემა, აშკარა იყო დაგროვებითი სისტემით მიღებული პენსიის ქვოტის შეუსაბამობა მინიმალურ საპენსიო ზღვართან, ამიტომ სახელმწიფოს უხდებოდა დამხმარე როლის შესრულება და გარკვეული სახის სუბსიდირება, რათა პენსია გათანაბრებული იყო იმ მინიმალურ ზღვართან, რამელიც სახელმწიფოს მიერ იყო დადგენილი.

იმისათვის, რომ ადამიანმა დაგროვებით მიიღოს რეალური ეფექტი, საჭიროა, რომ მინიმუმ 20 წელი აგროვებდეს და ასევე დაგროვებასთან ერთად მის შენატანს ერიცხებოდეს ყოველწლიური მოგება, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ დაგროვილი თანხით პენსიაზე გასვლის შემდეგ დაახლოებით 15-20 წელი მიიღოს ადეკვატური შემოსავალი. თუ ადამიანი მხოლოდ 10 წელი დააგროვებს, მას ვერ ექნება იმდენი შემოსავალი, რომ 20 წლის განმავლობაში მიიღოს ადეკვატური შემოსავალი დაგროვებითი პენსიის სახით.

**ამიტომაც დაწესდება გარკვეული ზღვარი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას და ვინ — ვერა. სავარაუდოდ, მამაკაცებისთვის მინიმალური ასაკი იქნება 45 წელი, ქალბატონებისთვის კი — 40 წელი.**

**ბექა დანელია**

კადრები

## ნეპოტიზმი და სასჯელი

### რათა კონკურსების მიმართ ნდობა გაიზარდოს

**არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ პარლამენტში შეიტანა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სამსახურში ნეპოტიზმის კრიმინალიზებას. კანონპროექტის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატება 332-ე პირველი პრიმა მუხლი - საჯარო სამსახურში კონკურსის წესის დარღვევა. აღნიშნული მუხლი გულისხმობს იმ პირთა დასჯას, რომლებმაც კონკრეტული პირის საჯარო სამსახურში მიღებისას, მისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით, განზრახ დაარღვიეს კონკურსის წესები.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს დასჯას ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ამასთან, როგორც ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური ამბობს, თუ საჯარო მოხელე ან სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი მრავალჯერ ჩაიდენს ცვლილებით კვალიფიცირებულ დანაშაულს, მაშინ ის დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

**„უნდა დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც, მაგალითად, სპეციალურად ჩაშალეს კონკურსი ან ისეთი საკონკურსო მოთხოვნები ჩამოაყალიბეს, რომელიც მორგებულია კონკრეტულ პირზე ან არღვევს კონკურსის პირობებს იმისათვის, რომ დაასაქმოს მის მიერ წინასწარ შერჩეული პირი“,** — უთხრა ეკა გიგაურმა რადიო თავისუფლებას.

ეკა გიგაურის თქმით, მისი ორგანიზაცია დიდი ხანია, სწავლობს საჯარო სამსახურში თანამშრომელთა აყვანა-გათავისუფლების საკითხებს, კვლევა კი აჩვენებს, რომ საჯარო სამსახურში საკადრო პოლიტიკა ხშირად გამჭვირვალობის პრინციპის დარღვევით წარიმართება, რასაც ადასტურებენ როგორც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე სამსახურიდან გათავისუფლებული მოქალაქეები. მაია ნაცვლიშვილს სამსახურიდან (გარემოს დაცვის სამინისტრო) გათავისუფლების გამო სარჩელი სასამართლოში აქვს შეტანილი:

**„1996 წლიდან ამ სტრუქტურაში ვმუშაობდი და შარშან, 1 იანვარს, ჩაატარეს რაღაც სამარცხვინო გასაუბრება, რომელსაც ვერანაირი სახელი ვერ მოვუძებნე... დღემდე ვფიქრობ, რა იყო ეს! და, აი, ამ გასაუბრების, უფრო სწორად, ნეპოტიზმის საფუძველზე მოხდა კადრების შერჩევა“.**

სამსახურიდან გათავისუფლებული მოქალაქეების გარდა, საჯარო მოხელეებსა და პოლიტიკური თანამდებობის პირებს ოპოზიციაც აკრიტიკებს, თუმცა, ხშირად თავად ხელისუფლების წარმომადგენლებიც ამბობენ, რომ ნეპოტიზმი, გარკვეული ფორმით, მისაღებია. აი, რა განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში:

**„ერთ რამეს ვიტყვი: მე არ ვარ ნეპოტიზმის მკაცრი წინააღმდეგი, თუ ვხედავ, რომ ჩემი ახლობელია, წლების განმავლობაში მიმუშავია მასთან, ვიცი, რომ კარგი სპეციალისტია და დავასაქმე, ეს უკვე სხვა თემაა!“**

საჯარო სამსახურში მეგობრებისა და ნათესავებისათვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭების ფაქტებს იკვლევს კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი, რომლის თქმითაც, ნეპოტიზმი თქმის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციაში.

**„ვგულისხმობ როგორც თვითმმართველობის ორგანოებს (გამგეობასა და საკრებულოს), ასევე მათ მიერ დაფუძნებულ არაკომერციულ იურიდიულ პირებს. მაგალითად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის შენობაში ერთი თანამდებობის პირი არის ქმარი, მეორე კი — ცოლი... ერთმანეთის დაქვემდებარებაში შეიძლება არ იყვნენ, რითაც ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონს დაარღვევდნენ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში იმის გამო არიან ამ თანამდებობებზე დანიშნული, რომ არიან ერთი ოჯახიდან“,** — უთხრა გელა მთივლიშვილმა რადიო თავისუფლებას.

რაც შეეხება მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ნაცნობებისა და ნათესავების დასაქმებას ტესტირებისა და გასაუბრების გზით. ამასთან დაკავშირებით გელა მთივლიშვილი ამბობს:

**„პირველი ის, რომ მოარგეს კონკურსის პირობები და კრიტერიუმები თავიანთ ადამიანებს. მეორე მხრივ, იყო მაღალი კონკურენცია, მაგრამ უპირატესობა მიანიჭეს თავის ნათესავებს შემდეგნაირად: ტესტირებაზე, სადაც ქულების გაყალბება არ შეეძლოთ იმის გამო, რომ გამოცდა ელექტრონულად ტარდებოდა, იმ კონკურსანტებმა, რომლებიც არ იყვნენ გამომცდელთა ნათესავები, მაღალი ქულები მიიღეს, მაგრამ გასაუბრებაზე, რომელიც არ არის გამჭვირვალე, არ ხდება ჩაწერა, არ გვაქვს არანაირი ინფორმაცია, როგორ წარიმართა, პრივილეგია მიანიჭეს ნათესავს. შესაბამისად, მაღალქულებიანები დაიწუნეს და სამსახურში მიიღეს თავიანთი ნათესავები“.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოში“ კი მიიჩნევენ, რომ ცვლილების დამტკიცება იქნება მკაფიო სიგნალი ყველა იმ საჯარო მოხელისათვის, რომელიც ჩართულია ნეპოტიზმში. და კიდევ, მკვეთრად გაიზრდება ნდობა კონკურსების მიმართ, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების დასაქმებასა და დაწინაურებას საჯარო სამსახურში.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**

№46. ხუთშაბათი, 12 მარტი, 2015 წელი.

# „ხელისუფლებამ უნდა დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ლარის გაუფასურების დასაძლევად რეალური ინსტრუმენტები და გეგმები აქვს“



**ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათი დაძლევის გზებზე, საშინაო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე „ინტერპრესნიუსი“ ეკონომიკური საკითხების ექსპერტს გია ხუხაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო გია, ლარის კურსის ვარდნის გამო არ ცხრება საუბრები მთავრობის უუნარობასა და არაეფექტურობაზე. პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებით, „მთავრობა შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად ეროვნულ ბანკთან 24-საათიან რეჟიმში მუშაობს“. მისივე განმარტებით, მთავრობას აქვს კონკრეტული გეგმები, რომელიც „სიტუაციის ძალიან სწრაფად გამოსწორებას მოემსახურება“. ვითარებაში, როცა, მსოფლიო ეკონომიკასა და ჩვენ სამეზობლოში ეკონომიკის რეცესია სახეზეა, რამდენად დიდია ალბათობა, რომ საქართველოს მთავრობას ამგვარი კონკრეტული და ეფექტური გეგმა ჰქონდეს?**

— პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ ჩვენი ხელისუფლების წილი ლარის დევალვაციის პროცესშია, ეს გასაგებია, მაგრამ არა იმდენი, როგორსაც აკისრებს პოლიტიკური ოპოზიცია თუ საზოგადოების გარკვეული ნაწილი. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს არის გლობალური ნეგატიური პროცესის ერთ-ერთი ელემენტი, რაც, რა თქმა უნდა, ცუდია. ერთადერთი, რაზეც ჩვენ ხელისუფლებას პასუხი შეიძლება მოვთხოვოთ, არის ის, თუ რამდენად ადეკვატურად პასუხობს ამ პრობლემას. აქ, რა თქმა უნდა, არის კითხვები. როდესაც გაზრდილია სოციალური რისკები, იმპორტ-ექსპორტის სალდო არასახარბიელოა და სულ უფრო მძიმდება, ზოგადი განცხადებებით შემოფარგვლა, რომ მთავრობას აქვს რაღაც გეგმა, არ არის საკმარისი. გარდა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისა, დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადობაში არსებულ ფსიქოლოგიურ ფონს. ხელისუფლებამ უნდა დაარწმუნოს საზოგადობა, რომ მას კრიზისის დასაძლევად აქვს რეალური ინსტრუმენტები და რეალური გეგმები. ხელისუფლებამ კონკრეტულად უნდა თქვას, რის გაკეთებას აპირებს.

**— ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ მისი უწყება ეროვნულ ბანკთან სინქრონულად მუშაობს, რომ არსებული პროცესები ფასების ზრდაში არ გადაიზარდოს...**

— მესმის, რომ ფინანსთა მინისტრი მონდომებულია და დარწმუნებული ვარ, რომ მუშაობენ, მაგრამ შეიძლება ითქვას, სისტემური ხედვისა და გეგმის ჩამიჩუმი არ ისმის.

დიდი ბოდიში, მაგრამ თქმა იმისა, რომ ვმუშაობთ, რათა არსებული პროცესი ფასების ზრდაში არ გადაიზარდოსო, გაუმართლებელია, ვინაიდან ეს ელემენტარული არითმეტიკის ამბავია. იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა, სადაც სამომხმარებლო პროდუქციის ნაწილი იმპორტირებულია და შესყიდულია დოლარში, ძალიან მარტივი არითმეტიკული გათვლებით შეიძლება დავადგინოთ, რომ ამ იმპორტირებული საქონლის თვითღირებულება ლარში იზრდება და, შესაბამისად, გაიზრდება ფასები. ფინანსთა სამინისტრომ 24 საათი კი არა, 28 საათი რომ იმუშაოს, არ მესმის, როგორ უნდა მოახერხოს ამ პროცესის შეჩერება.

**— პრემიერმა განაცხადა, რომ მთავრობა მზდ არის, ქამრები შემოიჭიროს, ანუ, ეს, სავარაუდოდ, შეეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს, საუბარია 12 პროცენტზე...**

— განცხადებებით საუბარი არ არის საკმარისი, მთავრობამ კონკრეტულად უნდა გვითხრას, რას აპირებენ თუნდაც ქამრების შემოჭერის ფარგლებში. ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ქამრების შემოჭერა ხელფასებს არ უნდა შეეხოს, მაგრამ აუცილებლად უნდა შეეხოს პრემიებსა და დანამატებს. ამის შესახებ განცხადება მთავრობის წარმომადგენლებს ჯერ არ გაუკეთებიათ. არადა, ეს საზოგადოებისთვის მარტივად გასაგები იქნებოდა. ჩემი აზრით, ვიდრე ვითარება არ დასტაბილურდება, პრემიებზე, დანამატებზე და სხვა სახის ფინანსურ სტიმულირებაზე არა მარტო სამინისტროებმა, არამედ ადგილობრივმა თვითმმართველობებმაც უნდა თქვან უარი. მათ ასევე კეთილი უნდა ინებონ და უარი თქვან მსხვილ ხარჯებზე, ანუ სახელმწიფოს მიერ ბენზინისა და მობილური ტელეფონით საუბრის ხარჯებზე და თავად იხადონ. ვიმეორებ, ასეთი კონკრეტიკა საზოგადოებისთვის გასაგები იქნებოდა. ახლა კი, კონკრეტულ გეგმებზე საუბარი აბსოლუტურად ზოგადად გამოიყურება.

გარდა ამისა, შესაძლოა, ეს ეკონომიკურად კარგი არ იყოს, მაგრამ აუცილებელად გასაკეთებელია შემდეგი რამ. აუცილებელია შემოსავლების ინდექსაციის გაკეთება. არიან ადამიანები, რომელთა ბიუჯეტს ყოველი ლარი ურტყამს, აუცილებელია მათი შემოსავლების ინფლაციის შესაბამისად ინდექსაცია. გარწმუნებთ, რომ, თუ ხელისუფლება უარს იტყვის პრემიებსა და დანამატებზე, ბენზინისა და მობილურის ფულს თავად გადაიხდის, ეს საკმარისი იქნება, რომ დაუცველმა ფენებმა ლარის გაუფასურების გამო სერიოზული დარტყმა არ მიიღონ.

**— რამდენად გამართლებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფონდიდან კრედიტის აღება, რაზეც უკანასკნელ დღეებში ბევრს საუბრობენ და, სავარაუდოდ, რას შეიძლება ის მოხმარდეს?**

— რა თქმა უნდა, კრედიტის აღება შეიძლება, მთავარია ქვეყანა იყოს გადამხდელუნარიანი. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ისეთი ზომები, როგორიცაა კრედიტის აღება, ეროვნული ბანკის ინტერვენციები, ეს ყველაფერი მოკლევადიანი პასუხია ამ გამოწვევებზე. რაც პრობლემას ვერანაირად ვერ გადაწყვეტს. ამგვარი ზომები პრობლემას მხოლოდ გადაავადებს გარკვეული პერიოდით. პრობლემის დაგროვებამ და გადავადებამ შესაძლოა, კიდევ უფრო გააღრმაოს პრობლემა. ხელისუფლება ვითარების მუდმივად გადაგორების პროცესში არ უნდა იყოს და ამას უნდა ჰქონდეს გრძელვადიანი გეგმები და უნდა იყოს ორიენტირებული გრძელვადიან სტაბილიზაციაზე და არა კრიტიკულ ვითარებაში მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე.

**— პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობა ეკონომიკური ზრდის 5%-იანი მაჩვენებლის გადახედვას გეგმავს. მისივე განმარტებით, აზერბაიჯანმა სულ ახლახან გამოაცხადა, რომ მათი ეკონომიკური ზრდა 1,5% იქნება, სომხეთის — 0%, ევროპაში ეკონომიკური ზრდის მაქსიმუმი 1-2% და შექმნილ სიტუაციაში 5-%იანი ზრდის გადახედვა მოგვიწევს. თქვენი აზრით, ლარის კურსის გაუფასიურებაზე საუბრისას ექსპერტები რატომ ივიწყებენ იმას, რომ აზერბაიჯანში აზერბაიჯანული მანათის გაუფასურება 33,5% მოხდა? და კიდევ, თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორ აისახება ეკონომიკური ზრის 5%-იანი მაჩვენებლის შემცირება ბიუჯეტის პარამეტრებზე?**

— თავიდანვე ვთქვი, რომ ლარის გაუფასურება გლობალური ეკონომიკური პროცესის ნაწილია. ლარის დევალვაციაზე პასუხისმგებლობის ხელისუფლებაზე დაკისრება არ არის სწორი. მართალია, აზერბაიჯანში ეს პროცესი სხვანაირად მოხდა, ამაზე ბაქოში პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მიღებული, მაგრამ გარწმუნებთ, ამას აზერბაიჯანი მიაყოლებს გარკვეულ პროგრამას სოციალური რისკების დასაზღვევად.

შესაძლოა, შენ არ იყო პასუხისმგებელი დევალვაციაზე, მაგრამ ამ გამოწვევას ხელისუფლებამ სისტემური ნაბიჯების გადადგმით უნდა უპასუხოს. ამას საზოგადოების ზოგადი რიტორიკით კვება და ფსიქოთერაპიით მკურნალობა არ შველის.

**— აჭარის უმაღლეს საბჭოში „ქართულმა ოცნებამ“ უმრავლესობა დაკარგა. ასეთივე პროცესები ხდება საქართველოს ზოგ სხვა რაიონში. იმერეთის გუბერნატორი გადადგა და მის ნაცვლად გოგი ჭიჭინაძე ინიშნება. პრემიერ ღარიბაშვილის განმარტებით, აჭარაში „ქართულ ოცნებას“ „დეპუტატებმა უღალატეს, ნაციონალებს შეეკრნენ და „ამაზე უმკაცრესი რეაგირება იქნება“. ვიდრე კოალიციას მომხდარზე „მკაცრი რეაგირება“ ექნება, თქვენი აზრით, „ქართულ ოცნებაში“ რა პროცესებს აქვს ადგილი?**

— ჩემი აზრით, ხელისუფლების მთავარი შეცდომა იყო, რომ რეჟიმის დამარცხებას არ მოყვა სააკაშვილის მიერ დამყარებული სისტემის დემონტაჟი, ანუ წინა სისტემა შევიდა ახალ ხელისუფლებასთან გარკვეულ კონფლიქტში. დღეს ჩვენ სწორედ ამ პროცესს ვაკვირდებით. ის სისტემა იყო აგებული იმ მენტალიტეტზე და მმართველობის სისტემაზე, რაც დამკვიდრებული იყო სააკაშვილის დროს. დღეს ეს ხარვეზები ნელ-ნელა იჩენს თავს.

**რაზეც დღეს საუბრობს ალასანია, არ შეიძლება დაენახა დღეს და დაენახა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის ყოფილ უწყებაში, ჩემი აზრით, საკმაოდ ბანალური სისხლის სამართლის წარმოება დაიწყო. მიკვირს, ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ამ ხალხს როგორ უცბად აეხილებათ ხოლმე თვალები...**

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური ელიტა ცალკე ცხოვრებით ცხოვრობს, ხოლო სახელმწიფო სისტემა — ცალკე ცხოვრებით. მმართველობა უცხო სხეულად ჩამოყალიბდა და ნელ-ნელა მმართველობის ავტომატურ რეჟიმზე გადადის. შესაბამისად, მმართველი ელიტისაგან ხელისუფლების სისტემის დისტანცირების პროცესი მიმდინარეობს და იგი კიდევ უფრო გაღრმავდება. ეს ხდება არა მარტო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დონეზე, არამედ უწყებრივ დონეზეც, უბრალოდ მკაფიოდ არ ჩანს, ვინაიდან ვერტიკალურ მმართველობაში ნაკლებად ჩანს.

როდესაც საუბარია სამართლიანობის აღდგენაზე, ძალოვანი ორგანოები ინტერესთა კონფლიქტში იმყოფებიან ხელისუფლებასთან. თუ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ელიტას უნდა სამართლიანობის აღდგენა, ამის საშუალებას სისტემა არ აძლევს, რადგან თავის თავს არავინ იჭერს. ეს ის სისტემაა, რომელიც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დანაშაულს ჩადიოდა. მათი ლუსტრაცია კი ამ ორი წლის განმავლობაში არ მომხდარა.

**— „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ „ტელეიმედის“ გადაცემა „რეაქციაში“ განაცხადა — „ივანიშვილი უკვე არის ქვეყნის პრობლემა, რადგან საქართველოს წარსულში ქაჩავს. თუკი სააკაშვილს ვინმე ასულდგმულებს, ეს ივანიშვილია. სააკაშვილი არის წარსული, თუ მას რაიმე კრიმინალური დანაშაული აქვს, კეთილი ინებოს და დაუდასტუროს პროკურატურამ. თუ არა აქვს, საერთოდ დავივიწყოთ. ჩვენ წინ უნდა გავიხედოთ“. იმავე გადაცემაში ალასანიამ ისაუბრა იმაზე, რომ კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ივანიშვილს „თავისუფალი დემოკრატების“ მიმართ არ ჰქონდა ნდობა და აგრესიულობით გამოირჩეოდა. თქვენ როგორ შეაფასებდით ალასანიას ამ განცხადებებს და თქვენი აზრით, რაზე შეიძლება მიანიშნებდნენ ასეთი შეფასებები?**

— ჩვენ შეიძლება ვაკრიტიკოთ ყველა, მათ შორის, ივანიშვილი, ამის უფლება, რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ გუშინდელი პარტნიორებისგან ასეთი რიტორიკით საუბარი არა მხოლოდ არასამართლიანია, არამედ ჩემი აზრით, არაკეთილსინდისიერიც არის.

რაზეც დღეს საუბრობს ალასანია, არ შეიძლება დაენახა დღეს და დაენახა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის ყოფილ უწყებაში, ჩემი აზრით, საკმაოდ ბანალური სისხლის სამართლის წარმოება დაიწყო. მიკვირს, ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ამ ხალხს როგორ უცბად აეხილებათ ხოლმე თვალები... ასევე მიკვირს ალასანიასა და მისი გუნდის მხრიდან პრეზიდენტის ქება. როდესაც ივანიშვილი მარგველაშვილს აკრიტიკებდა, ალასანიას გუნდი აკეთებდა ყველაფერს იმისათვის, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის საბოტირებაში მიეღო მონაწილეობა. ჩემი აზრით, ალასანია შეფასებები ძალიან სუბიექტურია და პროცესებსა და ივანიშვილს არა სახელმწიფო ინტერესებიდან, არამედ საკუთარი სამრეკლოდან აფასებს. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ლიდერები ვერასოდეს ვერ ხდებიან, ვინაიდან საზოგადოება ამგვარ სიყალბეს ძალიან კარგად ხედავს.

**— ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა კი განაცხადა, რომ „რუსთავი 2“ საინფორმაციო სივრცეში დღის წესრიგს ადგენს და ეს ვითარება უნდა შეიცვალოსო, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან მაგვარი ჯერ არაფერი შეიმჩნევა. 21 თებერვალს, „რედისონში“ გამართული „დანერგე მომავლის“ პრეზენტაციის შემდეგ პრემიერმა განაცხადა — „სახელმწიფო მხარდაჭერით ორი წლის განმავლობაში შეიქმნა 105 ახალი საწარმო, ხოლო გადაიარაღდა და გაფართოვდა 580-ზე მეტი. წარმატებით მუშაობს აგროდაზღვევა, რომელსაც 800 ათასი ფერმერი იღებს“. თქვენი აზრით, რატომ არ ხდება ამ ახალი საწარმოებისა და გადაიარაღებულ და გაფართოებულ საწარმოების მუშაობაზე ინფორმაცია სატელევიზიო სივრცეში? ის, რომ ხელისუფლებას არანაირი საინფორმაციო პოლიტიკა არ აქვს, ახალი არაა, მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია, თუ ქვეყანაში ამდენი რამ ხდება, ხელისუფლება მათზე მხოლოდ მშრალი ციფრებით რატომ საუბრობს?**

— გასაგებია, რომ პიარი და საკუთარი საქმეების წარმოჩინება ხელისუფლებას არ შეუძლია და არცაა ამაზე ორიენტირებული. სააკაშვილი ნებისმიერი პოზიტიური მოვლენისგან ცდილობდა, დიდი მოვლენის გაკეთებას და ამ ტექნიკას ძალიან კარგად ფლობდა. დღევანდელი ხელისუფლება ამ თვალსაზრისით ძალიან სუსტია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მე არ ვფიქრობ, რომ იგივე ეკონომიკაში რაღაც განსაკუთრებული ხდება. ეკონომიკაში ხელისუფლებას საამაყო არაფერი აქვს ჯერ და, შესაბამისად, სააკაშვილის ხელისუფლებისგან განსხვავებით, იგი უფრო წესიერად იქცევა, როცა იმაზეც კი, რაც გაკეთებულია, ზარ-ზეიმით არ საუბრობს.

რაც შეეხება იმას, რომ საინფორმაციო სივრცეში დღის წესრიგს „რუსთავი-2“ ქმნის, ეს ნამდვილად ასეა. ვიღაცას ეს მოსწონს, ვიღაცას — არა. ამის განეიტრალება შეიძლება მხოლოდ სრულფასოვანი კონკურენტული ვითარების შექმნითა და რეალური კონკურენტების გამოჩენით.

**კობა ბენდელიანი**

ადამიანი დროში

# ვხედავთ, გვახსოვს, ვაფასებთ, ანუ — ვცოცხლობთ!



**ქალბატონ რაისა ქარაიას — აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს დეპუტატს, მეცნიერს და მოღვაწეს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე პრობლემები“ აფხაზეთის ა/რ უმაღლესმა საბჭომ და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა, ფართო საზოგადოებასთან ერთად, იუბილე მიულოცეს.**

ვუყურებ მის წყლიან, სევდიან თვალებს და აფხაზეთის ლამაზი სანახების მონატრებას ვხედავ, ის ხომ აგრონომია, მიწის სუნთქვას განსხვავებულად აღიქვამს. მას, თუნდაც იუბილარს, ყველა ჩვენგანის სატკივარი სტკივა — აფხაზეთი — ჩვენი ადგილისდედა.

იქ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი ჰქონდა... თითქოს გუშინ იყო მისი სისხლსავსე ცხოვრება აფხაზეთში: დიდი ოჯახი, ქმარ-შვილი, შვილიშვილები, სამეცნიერო შრომა... შემდეგ ომი დიდი რწმენით: მალე ყველაფერი კარგად იქნება...

და წლების თავბრუდამხვევი სრბოლისთვის არავის ეცალა, არც მას...

დიახ, სწორედ „თავისი ადგილი და დრო“ დავკარგეთ იქ, აფხაზეთში...

ქალბატონო რაისა, ყველას სათქმელი უნდა გაგიმხილოთ:

თქვენდამი მიძღვნილ იმ საქმიან საღამოზე თქვენი, როგორც ქალისთვის შეუფერებლად მძიმე შრომის, სამეცნიერო მოღვაწეობის, შეუდარებელი დედობისა და პოლიტიკური საქმიანობის შესახებ თქვენმა ახლობლებმა, კოლეგებმა, ნაცნობებმა და უცნობებმა ბევრი ილაპარაკეს და არასდროს დამავიწყდება მოკრძალებით თავდახრილი როგორ ისმენდით თქვენდამი მიძღვნილ კეთილ სიტყვებს, ლექსებსა და მილოცვებს, არადა, სულიად ამაყად, თავაწეულს შეგიძლიათ, მოისმინოთ ყველა საქებარი სიტყვა, რაც ცხოვრების მანძილზე დაიმსახურეთ!

— მიხარია, რომ ვიცნობ თქვენით მადლიერ ადამიანებს, კოლეგებს, საერთოდ თქვენიანებს... ვიცნობ აფხაზეთის ომის მონაწილე, მრავალგზის დაჭრილ და ბეწვზე გადარჩენილ, თქვენი მადლით სიცოცხლენაჩუქარ შვილს — ავთანდილ ქარაიას... ვიცი, რომ აფხაზეთის „ომს კვალდაკვალ დაჰყვებოდით“ უფრო ხშირად ფეხით და იმ ადგილებში განხულობდნენ, რომელსაც თვით მეომრებიც კი ერიდებოდნენ... ბევრი სხვაც ვიცი... მიხარია, რომ ეს ყველაფერი დანახული, დაფასებული და დაწერილია და ფართო საზოგადოება კიდევ ერთი ქართველი გმირის შესახებ გაიგებს, რომლის ცხოვრება მისაბაძია.

**ბედნიერი ვარ, თქვენი სიყვარულით სავსე თბილ გამოხედვას რომ ვხედავ. მეძვირფასება ჩემდამი ასეთი დამოკიდებულება, მადლობა ამისთვის... თუმცაღა რა დასამალია, ორმაგად ბედნიერი ვიქნებოდი ამ დღეს ყველა იქ მეხილეთ, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სადაც უნდა აღნიშნულიყო ჩემი იუბილე, სამწუხაროდ, იმ ადგილებს ახლა მხოლოდ ოცნებებში ვხედავ, გვიხმობს და გველოდება როგორც დედა შვილებს, შორიდან გვეფერება. ღმერთმა ინებოს ჩვენი სანუკვარი ოცნების ახდომა, აფხაზეთში დაბრუნებას მოგვასწროს!** — ამ სიტყვებით გადაიხადა მადლობა იუბილარმა, მე კი ასე ვამბობ:

ქალბატონო რაისა, თქვენი მოღვაწეობის დაფასებით თქვენმა კოლეგებმა ზოგადად ადამიანის — ქალბატონის ღირსეული ცხოვრება დააფასა და ამით პირნათლად შეასრულა მოვალეობა და იქნებ, როგორც ბევრი სხვა სიკეთე ეს ნაბიჯიც გადამდები გახდეს, **ხსოვნა გულისა ხომ მაღალი ინტელექტის ნიშანია, როგორც:**

**ვხედავთ, გვახსოვს, ვაფასებთ — ანუ — ვცოცხლობთ!**

თქვენი დაბადებიდან მომდევნო მრგვალი თარიღი თქვენს უსაყვარლეს, ყველა ჩვენგანისთვის საოცნებო და მონატრებულ მხარეში — აფხაზეთში აღგვენიშნოს!

თქვენს ყველა ოცნებას ხომ ახდომა უწერია, ეს ოცნებაც ალბათ, მალე აგიხდებათ და ყველა ბედნიერი ვიქნებით!

დაველოდოთ! — სხვა რაღა დაგვრჩენია.

ქალები ასაკის გამხელას გაურბიან და არასდროს დავინტერესებულვარ თქვენი ასაკით, ყოველთვის მეგონა, რომ დაახლოებით ერთი ხნისანი უნდა ვყოფილიყავით. როცა მითხარით 75 წელი შემისრულდაო, გულწრფელი გაოცება ვერ დავმალე: 15 წელი მოგიმატებიათ და ამას აუცილებლად ყველას ვეტყვი-მეთქი, დაგემუქრეთ... ვერ დაგაფრთხეთ, კი ბატონოო, ჰოდა, ვამბობ:

**ქალბატონ რაისა ქარაიას 60 წელი შეუსრულდა და მეტი სოლიდურობისთვის 15 წელი წაიმატა, რასაც სულგრძელად ვპატიობ და ვულოცავ.**

**ჩვენო ძვირფასო რაისა, გილოცავთ, საიუბილეო თარიღს!**

**საუკეთესო საყვარელი მუსიკის მოსმენის დროს რომ ხასიათზე დგებით იმ განწყობით იცხოვრეთ კიდევ ერთი ამდენი თქვენს უსაყვარლეს ადამიანებთან ერთად!**

**ქეთევან ჩემია**

სიახლე



# მოქალაქეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად

**რა ცვლილებები შედის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში?**

**მიმდინარე წლის 16 თებერვლიდან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ახალი ფორმა ამოქმედდება. როგორც მერიის არქიტექტურის სამსახურში bpn.ge-ს განუცხადეს, ეს ცვლილება მოქალაქეების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება.**

არქიტექტურის სამსახურის უფროსის ნინო ღოღობერიძის თქმით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დოკუმენტი ახალ, გაუმჯობესებულ ფორმაზე გადადის, რაც გააიოლებს ხსენებულ პროცესში მონაწილე პირთათვის ინფორმაციის სწორად და სრულად მიღებას. **„დოკუმენტი დაიხვეწა როგორც შინაარსობრივად, ასევე გარეგნულად აღქმადობის მხრივ. ერთმანეთისგან გაიმიჯნა აქტის, რომლითაც პირობები მტკიცდება, და პირობების შინაარსობრივი შემადგენლობა. ამ აქტის ნაწილში რეკვიზიტებისა და განაცხადის შესახებ ინფორმაცია გაუმჯობესდა, ხოლო პირობების ნაწილი თავებად და ნაწილებად დაიყო, რომლებშიც კანონმდებლობის შესაბამისობით, ინფორმაცია მნიშვნელობის მიხედვით დაჯგუფდა“,** — განუცხადა bpn.ge-ს ნინო ღოღობერიძემ.

მისივე თქმით, დოკუმენტის ახალი ფორმის ამოქმედებასთან ერთად, ცვლილება შედის განცხადებას თანდართული სავალდებულო დოკუმენტების ნუსხაშიც. სავალდებულო ხდება ტოპოგრაფიული გეგმის და საინფორმაციო დაფის განთავსების დამადასტურებელი სურათის წარმოდგენა. აქამდე ნებართვა მხოლოდ აეროგადაღების შემდეგ (ზემოდან გადაღებული) გაიცემოდა. **„ამ ცვლილების მიზანია მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პროცესში დაინტერესებულ და მესამე პირთა უფლებების მაქსიმალური დაცვა და სამშენებლო საქმიანობაში რისკების შემცირება. ნებართვის გაცემის პირველივე სტადიაზე გამოვლენილი იქნება ყველა შესაძლო შემაფერხებელი თუ სამშენებლო განვითარების შემზღუდავი გარემოება“,** — აღნიშნა ღოღობერიძემ.

რაც შეეხება დედაქალაქში შეჩერებულ სამშენებლო ობიექტებს, bpn.ge-ის შეკითხვაზე ამ მიმართულებით რას აპირებს მერიო, ნინო ღოღობერიძის თქმით, მერია ამაში ვერ ჩაერევა, რადგან ეს კერძო კომპანიის საქმეა. **„თუკი ბაზარზე ახალი ინვესტორი გამოჩნდება, მან მოლაპარაკება უშუალოდ კომპანიასთან უნდა აწარმოოს,“** — დასძინა ნინო ღოღობერიძემ.

როგორც არქიტექტურის სამსახურის უფროსმა განმარტა, აღნიშნული ცვლილება გადაწყვეტილების მიღების ვადებზე გავლენას არ იქონიებს და უცვლელი (5 დღე) დარჩება. მისივე თქმით, ეს პროცესები დროში არ გაჭიანურდება.

**სალომე გოგოხია**

საგვარეულო დარბაზი

# მიზანი: თანადგომა, ერთიანობა, მამულის ერთგულება!

**ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისის ტურიზმის აკადემიის სააქტო დარბაზში გაიმართა მექვაბიშვილების საგვარეულო დარბაზის შეხვედრა გურიაში, ქართლში, მესხეთის რეგიონებში მცხოვრებ თანამოგვარეთა წარმომადგენლებთან. შეკრების მონაწილეებმა სიამაყით აღნიშნეს, რომ ამ შენობაში ახლახან გაიხსნა მექვაბიშვილების გვარისა და ასოციაცია „მესხეთის“ ერთობლივი კაბინეტი, რომელიც არა ერთ საინტერესო მასალას გვაცნობს.**

სიტყვას იღებს მექვაბიშვილების საგვარეულოს დარბაზის პრეზიდენტი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი, რომელმაც ამ შეხვედრის მთავარ ღონისძიებად გამოაცხადა ღვაწლმოსილი ადამიანების — მედია, ნოშრევან, კუკური და იაკობ მექვაბიშვილების ხსოვნის აღნიშვნა.

მან პირველმა ილაპარაკა მედია მექვაბიშვილის დამსახურებაზე, ბოლოს კი სიტყვა გადასცა სხვა მომხსენებლებს. ნოშრევან მექვაბიშვილის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ტურიზმის აკადემიის დირექტორი ავთანდილ მექვაბიშვილი. კუკური მექვაბიშვილის დამსახურებაზე ისაუბრა პროფესორმა ნათელა მექვაბიშვილმა, იაკობ მექვაბიშვილის დამსახურება წარმოადგინა ვიცე-პრეზიდენტმა სოფიკო მექვაბიშვილმა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ როგორც მექვაბიშვილების გვარის, ისე ასოციაცია „მესხეთის“ წარმომადგენლები დიდ დახმარებას უწევენ აკადემიის სასწავლებლად ახალგაზრდების მოზიდვაში. ეს მუშაობა კვლავაც გრძელდება.

მოხსენების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას გულითადად მიესალმნენ პროფესორები: მანანა ალადაშვილი, ნათელა, ლილი, სოფო მექვაბიშვილები, პოლკოვნიკი ვაჟა მექვაბიშვილი, ჟურნალისტი, პროფესორი ხვთისავარ არჩემაშვილი, ტურიზმის აკადემიის სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი ნატო შამფრიანი, სტუდენტი შალვა ეგრისელაშვილი.

შეხვედრის დასასრულს სტუდენტთა თვითმოქმედი ძალებით გაიმართა კონცერტი.

აღნიშნულმა შეხვედრამ ცხადყო, რომ მექვაბიშვილების საგვარეულოს თითოეული წევრი მზად არის, მეტი იშრომოს, მეტი გააკეთოს სამშობლოს წინსვლისა და აყვავებისათვის.

**ხვთისავარ არჩემაშვილი**





# ვინ უნდა აგოს პასუხი საყდრისის განადგურების გამო?

**საყდრისის 6 ათასი წლის უძველესი ოქროსმომპოვებელი საბადო ქართველმა მეცნიერებმა ჯერ კიდევ 1989 წელს აღმოაჩინეს. შემდგომი უმძიმესი წლების გამო, ფართომასშტაბიანი კვლევები ამ ობიექტზე მხოლოდ 2005 წელს განაახლა ქართულ-გერმანულმა ჯგუფმა, რომელმაც მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ეს ძეგლი მსოფლიოს უძველესი მაღარო იყო, ათასი წლით უფრო ძველი, ვიდრე ეგვიპტური ანალოგები და რომ, შესაბამისად, საქართველო, ოქროს საწმისის ქვეყანა, ოქროს წარმოების მსოფლიოს უძველესი კერაა. ამ თემაზე მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაცია მომზადდა, რაც ადასტურებს, რომ ამ აღმოჩენას მსოფლიო და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.**

საქართველოს მთავრობის პირდაპირი მოვალეობა იყო, რომ თვალის ჩინივით გაფრთხილებოდა ამ უნიკალურ მონაპოვარს, ამის ნაცვლად მან ძეგლის განადგურება არჩია, რათა „შენარჩუნებულიყო 3 ათასი სამუშაო ადგილი“.

საყდრისი ტერიტორიულად წარმოადგენს ერთ პატარა ბორცვს, რომლის მოცულობა სულ 9 ჰექტარია, 193 ჰექტრიდან, რომელზეც რუსულ კომპანიას „RMG Gold“-ს მიღებული აქვს ლიცენზია მადნეულის მოსაპოვებლად. ამ არეალის ოქროს მარაგი შეადგენს 14 ტონა ოქროს, რომლის მხოლოდ 30% იმყოფება საყდრისის ბორცვის ქვეშ, ანუ საყდრისის ოქროს მარაგი მოიცავს მხოლოდ 4,6 ტონა ოქროს.

რუსეთმა 2014 წელს მოიპოვა 272 ტონა ოქრო და გავიდა მეორე ადგილზე მსოფლიოში ოქროს მოპოვების მონაცემებით, პირველზე იმყოფება ჩინეთი 465,7 ტონა ოქროს მოპოვებით, მესამე ადგილზეა ავსტრალია, მეოთხეზე კი – აშშ. დღევანდელი ფასებით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთის შემოსავალი მხოლოდ ოქროს მოპოვებიდან შეადგენს დაახლოებით 11 მილიარდ დოლარს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი უნცია (31 გრამი) ოქროს ღირებულება დღევანდელ მსოფლიო ბაზრებზე დაახლოებით 1262.5 დოლარს შეადგენს, საყდრისის ოქროს საბადოში არსებული ოქროს ღირებულების მოცულობა დაახლოებით 187 მილიონი დოლარია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საყდრისის დანგრევა გაამართლა იმით, რომ შედეგად „3000 ადამიანი დასაქმდებოდა“, რაც ვერ და არ ამართლებს უძველესი ძეგლის განადგურებას. არც ერთი ცივილიზებული ერი მსოფლიოში არ დაუშვებდა 6 ათასი წლის ძეგლის განადგურებას, მათ შორის, ჩვენი უახლოესი თუ შორეული მეზობელი ქვეყნებიც.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 2014 წლის მონაცემებით, საქართველოს ეწვია უპრეცედენტო რაოდენობის (5,4 მილიონი) საერთაშორისო მოგზაური. საყდრისის ძეგლის ტურისტულ მარშრუტებში ჩასმით შენარჩუნდებოდა თვით ძეგლიც და ჯამური მოგებაც წლების განმავლობაში გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე მცირე ვადაში ამოღებული ოქროსა და სპილენძის მადანი. საყდრისი გახდებოდა მუდმივი დასაქმების კერა, და არა რიგითი საბადო, რომლის დებეტიც მოკლე პერიოდში ამოიწურება.

მთავრობამ იმ ბორცვის აფეთქებით, სადაც საყდრისის უძველესი ოქროსმომპოვებელი მაღაროა განლაგებული, და ისტორიული ძეგლის მიზანმიმართული ნგრევით უხეშად დაარღვია არა მარტო საქართველოს მორალური და ისტორიული, არამედ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებიც. შეილახა საქართველოს მსოფლიო პრესტიჟი, და რაც კიდევ უფრო მძიმეა, – საქართველოს ძირითადი კანონი, საქართველოს კონსტიტუციის ყველა დებულება, რომელიც იცავს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას. კერძოდ, დარღვეულია **საქართველოს კონსტიტუციის 34 მუხლის 1 პუნქტი:**

**1. „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას“.**

იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს დაეფინანსებინა საყდრისის შემდგომი კვლევები, შეემუშავებინა საერთაშორისო პროგრამები, რათა მოეზიდა საუკეთესო მეცნიერები მთელი მსოფლიოდან და ამით მოეხდინა საყდრისის პოპულარიზაცია და საყოველთაოდ მისი გაცნობა მსოფლიოსთვის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მოუხსნა ამ ძეგლს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, ხოლო შემდეგ დაჩქარებული წესით ააფეთქა ის.

საყდრისის აფეთქებით დაირღვა კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავი მონაწილეობა, რამაც ხელი შეუშალა კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებას.

საყდრისის აფეთქებით ხელი შეეშალა ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის შემდგომ შესწავლას, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერთა მიერ, შესაბამისად, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

საყდრისის აფეთქებით დაირღვა ამავე **34 მუხლის მე-2 პუნქტიც:**

**2. „საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია, ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით“.**

საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო, ეზრუნა კულტურულ მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისთვის არა მარტო როგორც სახელმწიფო მოხელეთა პირდაპირი მოვალეობის აღსრულების მიზნით, არამედ როგორც საქართველოს მოქალაქეებს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ნაცვლად, საქართველოს მთავრობამ თავისი არაკანონიერი გადაწყვეტილებებით ხელი შეუშალა მოსახლეობას, მის აქტიურ წევრებს მათი კონსტიტუციური მოვალეობის განხორციელებასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში.

**დაირღვა ასევე კონსტიტუციის 37 მუხლის 3 და 4 პუნქტები:**

**3. „ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“.**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოქროსმომპოვებელი კომპანია „RMG Gold“ საშინლად აბინძურებს გარემოს, რაზეც არაერთი კვლევა ჩაატარეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, კერძოდ „მწვანე ალტერნატივამ“ საყდრისის გარშემო ტერიტორია, უშუალოდ ბოლნისის ველები ეკოციდის მაშტაბის დაბინძურებად შეაფასა, ასევე სხვა ორგანიზაციებმა, მათ შორის CENN. მძიმე ეკოლოგიურ ვითარებაზე ამ რეგიონში მიუთითებდა თვით გარემოს დაცვის სამინისტროც, რომელმაც „RMG Gold“-ის წინააღმდეგ არაერთი სარჩელი შეიტანა სასამართლოში და ყველა მოიგო. მიუხედავად ამისა, გრძელდება აღნიშნული რეგიონის ულმობელი დაბინძურება და მისი ეკოსისტემის განადგურება.

**კონსტიტუციის 37 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:**

**4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.**

იმის მაგივრად რომ მთავრობა სჯიდეს ყველას, ვინც არღვევს კონსტიტუციის დებულებებსა და სულისკვეთებას, მთავრობა თვითონ გამოდის დამრღვევის როლში და უხეშად ლახავს მილიონობით საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებს.

აღნიშნული დარღვევებისთვის, თანამდებობრივი გულგრილობისთვის **პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს მთავრობის ყველა წევრს, რომ არ დაიცვა საქართველოს უნიკალური მრავალათასწლიანი ისტორიული ძეგლი დაზიანებისა და განადგურებისაგან; ასევე ბოლნისის რეგიონში შექმნილი უმძიმესი ეკოლოგიური ვითარებისთვის.**

**პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს პრეზიდენტსაც, რომელმაც „ღვთისა და ერის წინაშე“ დადო ფიცი, რომ დაიცავდა საქართველოს კონსტიტუციას.**

პარადოქსი ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა მთავრობის წინააღმდეგ შეუძლებელია, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი არ ითვალისწინებს მოქალაქეთა მიერ თავისი უფლებების დაცვას ამ ორგანოში. საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს ძირითადად იმ საქმეებს, რომელიც ეხება სახელმწიფო ნორმატიულ აქტებს, ან ამ პუნქტთა შეუსაბამობას კონსტიტუციასთან.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში განიხილება რამდენიმე სარჩელი, რომელიც შეიტანა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ, ეს კი ავტომატურად უნდა აჩერებდეს საყდრისის ნგრევით სამუშაოებს, მიუხედავად ამისა, დაჩქარებულ ტემპებით მიმდინარეობს საყდრისის ულმობელი განადგურება.

მთავრობის ყველა წევრსა და პრეზიდენტს ეკისრება არა მარტო სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური პასუხისმგებლობაც იმაზე, რომ ხდება ქვეყნის უზენაესი კანონის უგულებელყოფა და მიმდინარეობს მიზანმიმართული კულტურული მემკვიდრეობის განადგურება.

პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარლამენტის წევრებსაც, იმისთვის, რომ ისინი დროულად არ რეაგირებენ მიმდინარე ვანდალიზმზე და ყოველმხრივ ჭიანურდება საგამოძიებო კომისიის შექმნა და დროული ზომების მიღება საყდრისის გადასარჩენად.

პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს პროკურატურასაც, რომელიც არ დაინტერესდა არსებული მრავალრიცხოვანი სამართებლივი დარღვევებით საყდრისის ძეგლთან მიმართებაში, რაც მრავალგზის იყო გამოთქმული როგორც პრესით, ასევე ტელევიზიით.

ერთადერთი გზა, რომელიც რჩება მოსახლეობას, ეს არის სისტემატური არაძალადობრივი, მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ჩატარება მსოფლიო მნიშვნელობის უძველესი ძეგლის – საყდრისის – საბოლოო განადგურების შეჩერების მიზნით.

**ქეთევან როსტიაშვილი,**
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

**ალიან-ჩალიანი**

## კომერციული მომხმარებლებისთვის გაზის არსებული საფასური პირველ მაისამდე შენარჩუნდება

**როგორც ენერგეტიკის მინისტრმა კალაძემ აღნიშნა, რა იქნება მომავალში ამასთან დაკავშირებით მთავრობა და ხელისუფლება იმსჯელებს.**

**„ტარიფებთან დაკავშირებით გაკეთდა განცხადება, რომ შენარჩუნებული იქნება პირველ მაისამდე ეს ტარიფები და ეს ხდება ჩვენი ბიუჯეტის სუბსიდირების ხარჯზე. რა თქმა უნდა, მთავრობამ უნდა იმსჯელოს მომავალში უნდა გაგრძელდეს თუ არა სუბსიდირება. დღეის მდგომარეობით სუბსიდირება რომ არ განხორციელებულიყო ლიცენზიატი კომპანია ზარალზე გადიოდა და ჩვენ ხომ არ გვინდა ენერგეტიკის დაკაგვა, პირიქით, ჩვენ წინ ვიხედებით, მომავალს ვუყურებთ და გვინდა განვითარებული, განათებული, ძლიერი საქართველო“, – განაცხადა კალაძემ და დასძინა, რომ საუბარია 15 მილიონი ლარის სუბსიდირებაზე.**

**ტარიფებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირინა მილორავამ. მისი თქმით, კომერციულ სექტორში ბუნებრივი გაზის ტარიფი არის დარეგულირებული, შესაბამისად, გასაყიდი ბუნებრივი გაზის ფასს მიმწოდებელი კომპანია განსაზღვრავს. რაც შეეხება დენის ტარიფის გადახედვასთან დაკავშირებით, თბოელექტროსადგურების მოთხოვნას, მილორავას თქმით, თბოელექტროსადგურებიდან სემეკს ოფიციალური განცხადება ჯერ არ მიუღია.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ეუთოს მისია შეიძლება, რომ დაბრუნდეს საქართველოში

## რუსეთმა მისი საქმიანობა 2008 წელს დაბლოკა

**ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ეძებს გზებს თავისი მისიის აღდგენისთვის საქართველოში. ამის შესახებ განაცხადა თბილისში სამი დღით ვიზიტით მყოფმა ეუთოს გენერალურმა მდივანმა ლამბერტო ზანიერმა.**

**„როდესაც 2008 წელს აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რუსეთი გამოვიდა მისი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი და აფხაზი ხალხის მშვიდობიანი მომავლის გარანტად. ჩვენი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი, რომლებიც აგებულია მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის საფუძველზე, და იმ პირობებში, როდესაც თბილისი ჯიუტად ამბობს უარს, ხელი მოაწეროს დამავალდებულებელ შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ, განსაკუთრებულ აქტიურობას ინარჩუნებს რუსეთ-აფხაზეთის თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში“,** — ნათქვამია რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყების 9 მარტის განცხადებაში.

როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, ამ ეტაპზე ხელმოსაწერად მზადდება დაახლოებით 30 შეთანხმება და ხელშეკრულება სოხუმსა და მოსკოვს შორის. აგრეთვე **„სექტორალური დოკუმენტები სამოკავშირეო და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების განვითარებასთან დაკავშირებით, სადაც აისახება ურთიერთმოქმედების ახალი ასპექტები, რომლებიც შეეხება თავდაცვისა და უშიშროების, სოციალურ, ჰუმანიტარულ და სხვა სფეროში ურთიერთოქმედებებს“.**




**„კვლავ ვრწმუნდები, რომ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისთვის აუცილებელია პრაქტიკული ნაბიჯები, რომელთა შორისაც არის სოხუმთან და ცხინვალთან კონტაქტების მოწესრიგება. მე ძალიან მაღელვებს მავთულხლართების გაჩენა და დაბრკოლებების შექმნა (აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციულ საზღვრებზე). ჩვენ მართლაც გვინდა, რომ ევროპას არ ჰქონდეს ბარიერები და დაყოფები. ეს ჩვენ კარგად გვახსოვს ჯერ კიდევ ცივი ომის დროიდან და არ გვსურს წარსულში დაბრუნება. ამიტომ ყველაზე მთავარია — დიალოგი. ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ აღვადგინოთ მისია, გავაკეთოთ ისე, რომ ეუთო უფრო მნიშვნელოვნად იყოს წარმოდგენილი ადგილზე“,** — განაცხადა 9 მარტს ზანიერმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ თამარ ბერუჩაშვილთან შეხვედრის შემდეგ.

ეუთოს მისიის, როგორც „უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ბერკეტის“ აღდგენის აუცილებლობის შესახებ განაცხადეს საქართველოს წარმომადგენლებმაც. საქართველოს პარლამენტის სპიკერის დავით უსუფაშვილის სიტყვებით, პარლამენტში შემავალი საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალა „ერთიანია“ ამ საკითხში და იმედი აქვთ, რომ ეუთო „გამონახავს საშუალებებს საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომისთვის“, რათა საქართველოში წარმოდგენილი იყოს ეუთოს მისია „თუნდაც მიახლოებული სრულფასოვნობით“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში ეუთოს მისია, რომელიც ჩამოყალიბდა 1992 წელს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით, შეწყვიტა თავისი მოღვაწეობა მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაბლოკა მისი მანდატის გაგრძელება, რომელიც 2008 წლის დეკემბერში დასრულდა. რუსეთი გამოდის ეუთოს ერთიანი მისიის წინააღმდეგ საქართველოში და სამხრეთ ოსეთში, ვინაიდან 2008 წლის აგვისტოში საქართველოდან გამოყოფილი სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების შემდეგ განიხილავს ამ რეგიონებს, როგორც საქართველოდან გამოყოფილ სახელმწიფოებს. მოსკოვი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ცხინვალში გაიგზავნოს ეუთოს ცალკე მისია, მაგრამ რუსეთის პოზიციას არ იზიარებენ ეუთოს წევრი ქვეყნები და საქართველო.

### „მშვიდობიანი მომავლის გარანტი“

**ამავე დროს მოსკოვში მიაჩნიათ, რომ რეგიონალური უშიშროების საფრთხე მოდის თბილისიდან, და აღნიშნავენ, რომ რუსეთი ასრულებს მნიშვნელოვან როლს კავკასიაში მშვიდობის შენარჩუნებისთვის.** ამის შესახებ ნათქვამია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში რუსეთში აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიაჩესლავ ჩირიკბას ვიზიტთან დაკავშირებით, რომელიც ამ დღეებში უნდა გაიმართოს.

რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ძალაში 2015 წლის 5 მარტს შევიდა. მასში გათვალისწინებულია საერთო თავდაცვითი ინფრასტრუქტურის ფორმირება, აგრეთვე რუსეთისა და აფხაზეთის ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნა გაერთიანებული სარდლობით. უახლოეს მომავალში ასევე იგეგმება მსგავსი შეთანხმების ხელმოწერა სამხრეთ ოსეთთან, მაგრამ, სოხუმთან ხელშეკრულებისგან განსხვავებით, „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ეს შეთანხმება გულისხმობს სამხრეთი ოსეთის მთელი რიგი ძირითადი სტრუქტურების გაერთიანებას რუსეთთან.

### „რომელიც ყოველთვის გვეხმარება“

**რუსეთის უპირატესობა რეგიონალური უშიშროების გარანტის როლში გამოხატეს ცხინვალშიც.** კერძოდ, სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბორის ჩოჩიევმა თავის კომენტარში ეუთოს გენერალური მდივნის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით თბილისში, გამოთქვა აზრი, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ ეუთომ „მოახდინა თავისი თავის კომპრომეტირება“.

**„ეუთოს მისია ცალმხრივად თავისი მოქმედებებით ხელს უწყობდა არა უშიშროებასა და თანამშრომლობას საქართველო-ოსეთის კონფლიქტის ზონაში, არამედ იყო დამნაშავე სააკაშვილის აქტიური მომხრე და მფარველი, ხელი შეუწყო მისი კაცთმოძულეობის ჩანაფიქრების რეალიზაციას“,** — განაცხადა 10 მარტს ჩოჩიევმა ადგილობრივ ჟურნალისტებთან ინტერვიუში.

სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენელმა ურჩია ეუთოს კრიტიკის ნაცვლად „აიღოს მაგალითი რუსეთისგან, რომელიც ეხმარება ყოველთვის მათ, ვინც მას დახმარებას სთხოვს“: „ეუთოს ხელმძღვანელობის ანტიჰუმანური დესტრუქციული როლისგან განსხვავებით, რუსეთის როლი, პირიქით, გამოირჩევა მაღალი კონსტრუქციულობითა და ჰუმანურობით“.

**შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, რუსეთმა 2008 წელს აღიარა საქართველოს ორი რეგიონის — აფაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა და იქ თავის სამხედრო ბაზებზე გადაისროლა დამატებითი ჯარები და შეიარაღება. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო — ვენესუელის, ნიკარაგუასა და ნაურუს გარდა — ამ რეგიონებს აღიარებს საქართველოს ტერიტორიად, რომელიც ოკუპირებულია რუსეთის მიერ.**

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



### ნაზარბაევი დათანხმდა, მონაწილეობა მიიღოს ყაზახეთის პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებში

ყაზახეთის 74 წლის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა გასულ კვირას აღიარა, რომ მის გეგმებში არ შედიოდა ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ გვაგრძნობინა, რომ ამომრჩეველთა მრავალრიცხოვანმა მიმართვებმა თხოვნით — კენჭი იყაროს არჩევნებში — შეიძლება გავლენა მოახდინონ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე.

### ლიტვის დამოუკიდებლობის დღეს სეიმის ყოფილმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პუტინის პოლიტიკას ევროპაში ახალი ომებისკენ მივყავართ

სსრ კავშირისგან ლიტვის დამოუკიდებლობის მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ვიტაუტას ლანდსბერგისმა აღნიშნა სხვაობა ბორის ელცინისა და ვლადიმერ პუტინის პოლიტიკას შორის: პირველის პრეზიდენტობის დროს რუსეთს არ სურდა ყოფილიყო აგრესიული იმპერია და პატივისცემით ეპყრობოდა ლიტვის თავისუფლებას, მაშინ, როდესაც 2000 წლიდან დაიწყო ისტორიის ახალი პერიოდი სახელწოდებით „პუტინის ომები“.

### ვენესუელის პრეზიდენტი მოითხოვს განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაპირისპირებისთვის



ნიკოლას მადურო მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული უფლებამოსილებანი დაეხმარება „მიიღოს ზომები რთული სცენარის ფარგლებში, რასაც ვენესუელა განიცდის“ ამერიკული საფრთხის წინაშე. ოპოზიცია ბრალს სდებს მადუროს მცდელობაში — მოახდინოს ხელისუფლების კონცენტრირება თავის ხელში და მიიჩნევს, რომ ქვეყანას აქვს პრობლემები ეკონომიკაში და არა გეოპოლიტიკაში.

### უმაღლესმა სასამართლომ საბოლოოდ გაამართლა ბერლუსკონი „რუბის“ საქმესთან დაკავშირებით

ამ საქმის ფარგლებში ცდილობდნენ პოლიტიკოსი პასუხისმგებელი გაეხადათ სექსისთვის 17 წლის გოგონასთან. თავდაპირველი საბრალდებო დასკვნა უკრძალავდა ბერლუსკონის დაეკავებინა პოლიტიკური თანამდებობები, ახლა კი მას შეუძლია სათავეში ჩაუდგეს პრემიერ-მინისტრ მატეო რენცის ოპოზიციას.



# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

**აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი (EWHIP-4)**
**კრედიტის/სესხის No: IDA5245-GE; IBRD 8263-GE**
**პროექტის No: P130413**
**დავალების სახელწოდება: ხიდების ინჟინერი**
**კონტრაქტის/RFE No: EWHIP-4/CS/ICS-04**
**საიდენტიფიკაციო No: EWHIP-4 PP, კომპონენტი 3, პუნქტი No.18**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **ხიდების ინჟინერი.**

ხიდების ინჟინრის დავალების მიზანია: (ა) E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიარული–არგვეთას მონაკვეთის ტექნიკურ–ეკონომიკური კვლევის შედეგად განსაზღვრული ხიდების და სახიდე გადასასვლელების (დაახლოებით 94 ერთეული საერთო სიგრძით 15 კმ. ორივე მიმართულებით) პარამეტრების განხილვა და ანალიზი; (ბ) სპეციალური დასკვნის (ანგარიშის) მომზადება ტექნიკურ–ეკონომიკური კვლევის დავალების ფარგლებში წარმოდგენილ პირველად და საბოლოო ანგარიშებზე; (გ) ტექნიკურ–ეკონომიკური კვლევით შემოთავაზებული ძირითადი სტრუქტურული ელემენტების განხილვა.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 3 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიას (CVs), კვალიფიკაციას და გამოცდილებას, რომ დადასტურდეს კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა შესასრულებელ დავალებასთან.
შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა. წარმოდგენილი ბიოგრაფიული მონაცემების (CVs) შეფასების საფუძველზე საუკეთესო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კანდიდატი დაპატიჟებული იქნება საკონტრაქტო მოლაპარაკებებზე.

კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:

- სულ მცირე 15 წლის სამუშაო გამოცდილება, მათ შორის 10 წლის საერთაშორისო გამოცდილება ხიდების პროექტირებისა და ტექნიკურ–ეკონომიკური კვლევების დავალებებში;
- მთაგორიან რეგიონებში სულ მცირე 2 ტექნიკურ–ეკონომიკური კვლევის დავალებაში მონაწილეობა,
- მაღალი დონის კომპიუტული უნარჩვევები (ე.ი. Microsoft Office).
- ინგლისურ ენაზე ურთიერთობის და ანგარიშების წერის გამოცდილება.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CVs) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 24 მარტის 16:00 საათისა.**

სახელი და გვარი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 370508 დამ. 218
ფაქსი: +995 322 313034
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**

**Forth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)**
**Credit/Loan No.** IDA 5245-GE; IBRD 8263-GE
**Project No.** P130413
**Assignment Title: Bridge Specialist**
**Contract/RFP No:** EWHIP-4/CS/ICS-04
**Reference No.** EWHIP-4 PP, Component 3, Item No.18

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Forth East-West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **Bridge Engineer.**

The objective of the assignment is to (i) review and analyze of parameters for bridge crossings and bridges (about 94 with total length around 15 km for both ways of carriageway), options for main structural elements recommended by **feasibility study of the E-60 highway Zemo Osiauri – Argveta (4-lanes) section** developed for the preferable alignment; (ii) prepare special expert reports for Draft Final and Final Feasibility Study Reports.

Particularly, the Expert is expected to:
1. Provide in-depth study and analysis of the proposed layout of the bridges, overpasses, viaducts etc. and confirm the correctness of their location (including site visits);
2. Correctness of the bridge length and clearance;
3. Layout of regulation structures in plan;
4. Compliance of the bridge carriageway parameters with the effective standards;
5. Compliance of proposed bridge schemes and main structural elements (superstructure, piers, foundation, etc.) with the appropriate standards;
6. Check the calculations used;
7. Compliance of construction equipment, materials and technologies considered by the Project with the modern requirements.

The estimated duration of assignment is 3 months.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

A consultant will be selected in accordance with the "Selection of Individual Consultants" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011 ("Consultant Guidelines") on the basis of substantial responsiveness of the best evaluated CV with respect to compliance with technical and other related aspects specified in the Terms of Reference.

**Required Qualification of the Consultant:**
- At least 15 years of post-graduate experience, including 10 years of international experience in Bridge design and feasibility study assignments;
- At least 2 feasibility studies in mountain area;
- High level computer skills (e.g. Microsoft Office).
- Excellent communication skills in English including well-developed report-writing skills.

*Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **March 24, 2015, 16:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08, ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

## შეხვედრა სამინისტროში

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს ინფორმაციით, „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის ფარგლებში უწყებამ საწვავის ლიმიტები, სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები შეამცირა.**

თანხის დაზოგვა ადმინისტრაციულ ხარჯებს შეეხება და არც ერთი ჯანდაცვითი და სოციალური პროექტის შემცირება არ იგეგმება.

„ხაზი მინდა გავუსვა — მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს აქვს ქვეყანაში უმსხვილესი ბიუჯეტი, ეს ძირითადად სოციალური პროექტების არის. მაგალითად მილიარდ შვიდასი მილიონი პენსიებში იხერჯება, ხოლო თითქმის - ნახევარი მილიარდი ჯანდაცვის პროექტებში. შესაბამისად ადმინისტრაციულ ხარჯებში ჩვენ დიდი რესურსი არ გვაქვს. ვფიქრობ, ის, რაც უკვე გავაკეთეთ წელიწადში 100 000 ლარის ფარგლებში დაიზოგება“, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

* * *

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს შეხვდა.**

ჯანდაცვის სამინისტროში მხარეებმა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების შესახებ იმსჯელეს. საუბრის ძირითადი თემა შრომის ბაზრის კვლევა იყო, რომელიც ქვეყანაში თებერვლიდან მიმდინარეობს.

როგორც დავით სერგეენკომ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, შრომის ბაზრის კვლევის შედეგები მნიშვნელოვან სურათს დადებს მოთხოვნად პროფესიებზე, კვალიფიკაციაზე და სამინისტროებს საშუალებას მისცემს დაიგეგმოს შესაბამისი გადამზადების კურსები.

„სამუშაო ადგილების ნაკლებობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს შრომის ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნის დისბალანსი. კვლევის ამოცანა სწორედ ამ დისბალანსის მინიმუმამდე ჩამოყვანაა. ერთი მხრივ, დამსაქმებელს ჰქონდეს სრული ინფორმაცია სამუშაოს მაძიებელზე, მეორე მხრივ, სამუშაოს მაძიებლები მომზადებული იყვნენ იმ ცოდნით და გამოცდილებით, რომელიც მათ დასაქმების შანსს გაუზრდის“, — აღნიშნა დავით სერგეენკომ. კვლევას ტენდერში გამარჯვებული ბიზნეს კონსულტაციის ჯგუფი BxG ატარებს. კვლევაში მონაწილეობას მიიღებს 6 220 დამსაქმებელი. კვლევა ორ თვისობრივ და რაოდენობრივ კომპონენტს მოიცავს. პირველადი მონაცემები აპრილში გახდება ცნობილი.

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

**აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი (EWHIP-4)**
**კრედიტის/სესხის No: IDA5245-GE; IBRD 8263-GE**
**პროექტის No: P130413**
დავალების სახელწოდება: **გვირაბების სპეციალისტი**
**კონტრაქტის/RFE No: EWHIP-4/CS/ICS-05**
**საიდენტიფიკაციო No: EWHIP-4 PP, კომპონენტი 3, პუნქტი No.17**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისათვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **გვირაბების ინჟინერი.**

გვირაბების ინჟინრის დავალების მიზანია: (ა) E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიარული–არგვეთას მონაკვეთის ტექნიკურ–ეკონომიკური კვლევის შედეგად განსაზღვრული გვირაბების (დაახლოებით 40 გვირაბი საერთო სიგრძით 33 კმ. ორივე მიმართულებით) მშენებლობის საჭიროების (აუცილებლობის) განხილვა, ანალიზი; (ბ) სპეციალური დასკვნის (ანგარიშის) მომზადება ტექნიკურ–ეკონომიკური კვლევის დავალების ფარგლებში წარმოდგენილ პირველად და საბოლოო ანგარიშებზე; (გ) გვირაბების განლაგების და პარამეტრების შერჩევის დროს წამოჭრილი პრობლემური საკითხების განხილვა–გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 3 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიას (CVs), კვალიფიკაციას და გამოცდილებას, რომ დადასტურდეს კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა შესასრულებელ დავალებასთან.

**შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.**

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა. წარმოდგენილი ბიოგრაფიული მონაცემების (CVs) შეფასების საფუძველზე საუკეთესო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კანდიდატი დაპატიჟებული იქნება საკონტრაქტო მოლაპარაკებებზე.

**კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:**

- სულ მცირე 15 წლის სამუშაო გამოცდილება, მათ შორის 10 წლის საერთაშორისო გამოცდილება გვირაბების პროექტირებიდა და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების დავალებებში;
- მთიან რეგიონში სულ მცირე 2 ტექნიკურ–ეკონომიკური კვლევის დავალებაში მონაწილეობა,
- მაღალი დონის კომპიუტერული უნარ-ჩვევები (ე.ი. Microsoft Office).
- ინგლისურ ენაზე ურთიერთობის და ანგარიშების წერის გამოცდილება.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CVs) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 24 მარტის 16:00 საათისა.**

სახელი და გვარი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 370508 დამ. 218
ფაქსი: +995 322 313034
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**
**Forth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)**
**Credit/Loan No.** IDA 5245-GE; IBRD 8263-GE
Project No. P130413
Assignment Title: Tunnel Specialist
Contract/RFP No: EWHIP-4/CS/ICS-05
Reference No. EWHIP-4 PP, Component 3, Item No.17

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Forth East-West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **Tunnel Engineer.**

The objective of the assignment is to (i) review and analyze need (necessity) for construction of tunnels (about 40 tunnels with the total length of around 33 km for both ways of carriageway) determined by **feasibility study of Zemo Osiauri-Argveta section of E-60 highway (4-lanes)**, (ii) prepare special expert reports on Draft Final and Final Feasibility Study Reports developed for the preferable alignment, (iii) participate in discussion-solution of problematic issues raised during selecting of locations and parameters for tunnels.

To achieve the objective of this assignment, the Tunnel Engineer is expected to:
1. Provide in-depth study and analysis of the proposed layout of the tunnels ) specified by feasibility study, check the accuracy of cross sections and clearance size, verify compliance of carriageway parameters with the effective standards and confirm the correctness of their location and length (including field visits).
2. Check the adequacy of selected technology for tunnel construction defined by feasibility study taking into the account geological and geotechnical conditions.
3. Check the calculations used.
4. Analyze solutions from the economics point of view in order to determine their optimality.

The estimated duration of assignment is 3 months.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

A consultant will be selected in accordance with the "Selection of Individual Consultants" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines") on the basis of substantial responsiveness of the best evaluated CV with respect to compliance with technical and other related aspects specified in the Terms of Reference.

**Required Qualification of the Consultant:**
- At least 15 years of post-graduate experience, including 10 years of international experience in tunnel design and feasibility study assignments;
- At least 2 feasibility studies in mountain area;
- High level computer skills (e.g. Microsoft Office).
- Excellent communication skills in English including well-developed report-writing skills.

*Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **March 24, 2015, 16:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08, ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

SOS!

# ჭიათურას მანგანუმის მომპოვებლები... აბინძურებენ!

**ნაცმოძრაობისთვის** მისაღები, ერთგული, მათთან დაახლოებული პიროვნებების გარდა ნებისმიერი სამრეწველო თუ სხვა დანიშნულების მქონე ობიექტის კანონიერ მფლობელობაში გადასვლა ყველასთვის მიუწვდომელი იყო. ამის შემდეგ ნაკლებად ხორციელდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლი (თუ ნაცებსა და მეპატრონეს შორის „შავი კატა“ არ გაირბენდა). ზოგან ეს ხელშეკრულებებიც არ ფორმდებოდა. ახალი მფლობელიც დაუსჯელობის სინდრომითა და რაც შეიძლება მეტი მოგების მოხვეჭით შეპყრობილი, ყველაფერს ანადგურებდა – ფლორას, ფაუნას, წიაღისეულს. არად დაგიდევდა ეკოლოგიას და რაც ყველაზე მთავარია, ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესაც კი.

ახალი ხელისუფლების უნიათო პროკურატურამ ვერ (ან არ) შესძლო არჩევნების წინ მოსახლეობისთვის მიცემული ერთ-ერთი უმთავრესი დაპირების – სამართლიანობის აღდგენა. ამ კუთხით წლების მანძილზე არა თუ არ შეუსწავლიათ, არამედ არც კი გადაუხედავთ ხალხის ქონების გასხვისების ხელშეკრულებებზე. არადა, სპეციალისტთა, ექსპერტთა, იურისტთა, ადგილობრივთა განმარტებით მათში უამრავი დარღვევაა. თვითდინებაზე მიუშვეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლი. ყველაფერს კი იმჟამინდელი მთავარი პროკურორი კერძო საკუთრების ხელშეკრულებით ხსნიდა.

უნიათობის თვალსაჩინო მაგალითია ჭიათურის მუნიციპალიტეტი. ადგილობრივები აღშფოთებულები არიან მანგანუმის ღია კარიერული წესით მოპოვების მასშტაბების ზრდით, რის გამოც უმოწყალოდ იჩეხება ტყე, ნადგურდება და ზიანდება საძოვრები, სასოფლო-სამეურნეო მიწები. მადნის მომპოვებლები მიწასთან ასწორებენ ინფრასტრუქტურას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქაოტურადაა მიმოყრილი მილიონობით ტონა ფუჭი ქანი, საწარმოო ნარჩენი. ყოველივე ეს უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ცოცხალი ბუნებისთვის. მოგებას გამოკიდებული ბიზნესმენები არად დაგიდევენ აკრძალვებს და ნარჩენებს პირდაპირ მდინარე ყვირილაში ყრიან. ბინძურდება სასმელი, სავარგულების მოსარწყავი წყალი. ჭიათურასა და შემოგარენში არნახულადაა გაზრდილი სხვადასხვა სახის აქამდე უცნობი დაავადების რაოდენობა.

ჭიათურლების აზრით მუნიციპალიტეტში მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა დაგროვდა. – ნუთუ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ქალაქი და მისი მოსახლეობა მანგანუმის მომპოვებლებს შესწირა? თუ ეს ასეა, მაშინ დღესვე შეგვიძლია გამოვაცხადოთ ის ეკოლოგიური კატასტროფის, ეკოლოგიური უბედურების ზონად! დაუყოვნებლივ ითხოვენ ვითარების გასარკვევად მთავრობის მხრიდან ქმედით ნაბიჯებს. თუ ეს საჩქაროდ არ გაკეთდა ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული გახდება, პროტესტის უკიდურეს ზომებსა და ფორმებს მიმართოს – გადაჭრით აცხადებენ ჭიათურელები.

**ზაზა ბილიხოძე**

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი (SLRP II)**
**კრედიტის № 5078-GE , სესხი №8143–GE**
**პროექტის № P122204**
**დავალების სახელწოდება: შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება**
**კონტრაქტი/RFP № SLRPII/CS/CQS-03**
**საიდენტიფიკაციო SLRPII PP, Item No.28.3**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის განსახორციელებლად.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება.**

აღნიშნული დავალების მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ზეგავლენის შეფასების კვლევის მე-2 ეტაპის განხორციელებას. აღნიშნული კვლევა ითვალისწინებს შემდეგი მიზნების მიღწევას: (ა) 2013 წელს განხორციელებული ზეგავლენის შეფასების კვლევის შედეგად მიღებული მონაცემთა შეჯამებას და გაანალიზებას; (ბ) პროექტის ფარგლებში შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის შედეგად მიღებული სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის დეტალური შეფასებისთვის ჩარჩო-დოკუმენტის მომზადებას; (გ) შინამეურნეობების და ბიზნესის გამოკვლევა იმ საკონტროლო და მიზნობრივ არეალში, რომელიც შემოსაზღვრულია აღნიშნული კვლევის პირველი ეტაპით; (დ) პროეტის ზეგავლენის განსაზღვრა ისეთ სპეციფიურ ინდიკატორებზე დაყრდნობით, როგორიცაა: ტრანსპორტირება, ზოგადი კეთილდღეობა, დასაქმება და შემოსული ინვესტიციები, მიწის რესურსების გამოყენება, განათლება და ჯანდაცვა. კვლევის შედეგად უნდა მომზადდეს მიღებულ მონაცემებზე და მიზნებზე დაფუძნებული ანგარიში.

**საკონსულტაციო დავალების სავარაუდო ხანგრძლივობა არის 6 თვე.**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვის წერილს უნდა ახლდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგი: შესაბამისი გამოცდილება მსგავს პროექტებთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის რესურსები და კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი. ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნას იმ თანამშრომელთა მოკლე შრომითი ბიოგრაფიები (CV), რომლებიც შემოთავაზებულია დავალების შესასრულებლად და გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით (**გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე).**

დავალების შესაბამისი პროექტების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას ფორმა №1-ის სახით, რომელიც ატვირთულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge, შემდეგ მისამართზე:

http://www.georoad.ge-?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: *მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება,* 2011 წლის იანვარი („კონსულტანტის სახელმძღვანელო პრინციპები"). წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვების საფუძველზე, შედგენილი იქნება მოკლე სია და ყველაზე მაღალი შეფასების მქონე კონსულტანტს ეთხოვება ტექნიკური და ფინანსური წინადადებების წარმოდგენა.

მოკლე სიის კრიტერიუმები:
- კომპანიის ზოგადი გამოცდილება;
- გამოცდილება მსგავს დავალებებში (ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის სულ მცირე 3 ჩატარებული ზეგავლენის ან/და საბაზისო ან/და მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასების კვლევა).

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა უნდა მოხდეს ელექტრონულად ან ბეჭდური მასალების წარმოდგენით ქვემოთ მითითებულ მისამართზე არა უგვიანეს 2015 წლის 26 მარტის 15:00 საათისა.

სახელი და გვარი: ვახტანგ რაზმაძე,
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 370508 დამ. 218
ფაქსი: +995 322 313034
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**

**Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)**
**Credit No.** 5078-GE; Loan No.8143-GE
Project No. P122204
**Assignment Title:** Socio-economic Impact Evaluation of the Second Georgia Secondary and Local Roads Project
**Contract/RFP No:** SLRPII/CS/CQS-03
**Reference No.** SLRPII PP, Item No.28.3

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Second Secondary and Local Roads Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies to express their interest in providing the following services: **"Socio-economic Impact Evaluation of the Second Georgia Secondary and Local Roads Project".**

The main objectives of the consultancy services are to support the second round of data collection for the Impact Evaluation (IE) exercise for the Secondary and Local Roads II Project (SLRP II). Particularly, the assignment aims to (i) resume the data gathering exercise completed in July 2013 for a detailed Impact Evaluation (IE) framework to assess socio-economic impacts of rehabilitated secondary and local roads in the project affected areas; (ii) conduct household and business surveys for in treatment and control areas defined during the first phase of the IE, and (iii) estimate project impact on specific indicators related to transportation, welfare, employment and investment, land use, and education and health and prepare a report with the findings of the survey.

The estimated duration of assignment is 6 months.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile. They shall include brief CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience. Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association* ) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. **Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1** uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 20 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 20 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011 ("Consultant Guidelines"). On the basis of submitted Expressions of Interest, a short-list will be established and highest ranked consultant will be requested to submit technical and financial proposals.

Shortlisting Criteria:
- General experience of the company;
- Experience in similar assignments (i.e. at least 3 similar impact evaluations and/or baseline surveys and/or user satisfaction surveys for infrastructure projects.);

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than March 26, 2015, 15:00 hours.

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department at the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

## განცხადება

2015 წლის 2 აპრილს 14 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარის" აქციონერთა საერთო კრება, მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121.

დღის წესრიგი:

1. 2014 წლის ბალანსის განხილვა.
მომხს: **ნ. გუმბერიძე.**
2. მოგების განაწილება.
მომხს. **ც. მიქაძე.**
3. სხვადასხვა.

სს „ოპიზარის" აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2015 წლის 16 თებერვალი.

**სს „ოპიზარის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე**
**ფრიდონ ჭუმბურიძე**

## კაკალ გულში

### წიკვილოვანი თიხნები

**● ჯულიეტოვიჩი, ამ ღინღლით, ვალოდია ულიანოვს მაგონებს, ოქტომბერში..**

**● ახლახან, ვილაცამ დაწერა აქ: ვინც 21 მარტის აქციაზე წავა, ცოცხალ დეფის ნახავსო და ამითი, ფაქტიურად მთელი საქართველო დარაზმა. აბა რომელი ჭკუათმყოფელი გაუშვებს ხელიდან ასეთ შანსს?!**

**● ახლა რაღაც სავიზო რეჟიმებზეა საუბარი და მინდა გითხრათ, რომ ირანის და თურქეთის მოქალაქეები, მუდამ კეთილგანწყობილები იყვნენ საქართველოს მიმართ.** განსაკუთრებით შაჰ და სულთან-ხონქარ-ფაშა მოქალაქეები. თუ არ გჯერათ, საქართველოს მეფე და ისტორიკოს მოქალაქეებს ჰკითხეთ. მხოლოდ რუსეთის კეთილგაუნწყობელ მოქალაქეებს არ დაადგათ საშველი.

**● „ხელისუფლებას დავამხობთ და 25 მარტს მიხეილ სააკაშვილი თბილისში იქნებაო"-მდე დარჩა 9 დღე!**

**● კობახიძემ, მე ვერ ვეტყვი საზოგადოებას, ველარ მოგიხნავთ მიწასო.**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

## რაგბი




# „ბორჯღალოსანთა“ ღია ვარჯიში 12 მარტს ჩატარდება

**შაბათს საქართველოს ნაკრები წლის მეორე საშინაო მატჩს მესხის სტადიონზე გამართავს. რაგბი ევროპის ჩემპიონატის მე-4 ტურში 17 საათზე „ბორჯღალოსნები“ რუს „დათვებს“ ერკინებიან.**

შეხვედრის ბილეთები სტადიონის სალაროებში იყიდება, მათი ფასი კი 3 და 5 ლარია.

„ბორჯღალოსნები“ 2015 წლის მეორე ღია ვარჯიშს დღეს გამართავენ. იგი ტრადიციულად „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე 16 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ ღია ვარჯიშზე ქომაგებისა და მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის დასწრება თავისუფალია.

ფოტო და ვიდეოგადაღება ნებადართულია ვარჯიშის დაწყებიდან 15 წუთის განმავლობაში. აღნიშნული დროის ამოწურვის შემდეგ გადაღება აკრძალულია.

**კობა კობახიძე**

## ჩოგბურთი

# ბასილაშვილმა PARIBAS OPEN-ზე პირველი რაუნდი დასძლია

**ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ინდიან უელსის პრესტიჟული ტურნირის (საპრიზო ფონდი 5 381 235 დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში პირველი გამარჯვება იზეიმა, რისი წყალობითაც 8 სარეიტინგო ქულა და 3 125 დოლარი მიიღო.**

ბასილაშვილმა მე-6 ნომრად განთესილ გერმანელ ტობიას კამკეს სამ სეტში – 6:3, 6:7 (4:7), 6:2 სძლია. აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზს საქმის გაცილებით ადრე მომთავრებაც შეეძლო, რადგანაც მე-2 სეტში მეტოქეს 5:2-ს უგებდა და მატჩ-პოინტიც ჰქონდა, თუმცა, შემდეგ მცირე ჩავარდნა დაეწყო.



კვალიფიკაციის გადამწყვეტ რაუნდში ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე მე-20 განთესვის მქონე რუმინელი ვიქტორ ჰანესკუ იქნება, რომელმაც საწყის ბრძოლაში აშშ-ს სახელით მოთამაშე ალექს კუზნეცოვი იოლად – 6:4, 6:1 დაამარცხა.

ქართულ-რუმინული დაპირისპირება მე-9 კორტზე გერმანელი ჰანფმანის და ფრანგი როჟერ-ვასელინის მატჩის კვალად დაახლოებით შუაღამისას დაიწყება და თუკი ბასილაშვილმა იმარჯვა, ძირითადი ბადის საგზურთან ერთად 16 სარეიტინგო ქულას მიიღებს.

ძირითად ბადეში ერთბაშად 12 კვალიფიკანტი გავა და მათი სავარაუდო მეტოქეების ვინაობა უკვე ცნობილია. წარმატების შემთხვევაში ნიკოლოზის მოწინააღმდეგე ამათგან ერთ-ერთი იქნება: ჰაიდერ-მაურერი (ავსტრია), მანარინო (საფრანგეთი), გროტი (ავსტრალია), ნიემინენი (ფინეთი), ტიმი (ავსტრია), დოლგოპოლოვი (უკრაინა), ესტრელა ბურგოსი (დომინიკის რესპუბლიკა), სიუსლინგი (ჰოლანდია), ჰაასე (ჰოლანდია) და იუჟნი (რუსეთი), კვალიფიკაციის 2 გამარჯვებული კი ერთმანეთის პირისპირ დადგება.

ისიც ვთქვათ, რომ კალიფორნიაში დაწყებულ BNP Paribas Open-ზე უძლიერესი შემადგენლობაა შეკრებილი. პირველ ნომრად ნოვაკ ჯოკოვიჩია (სერბეთი) განთესილი, ვისაც კვალში როჯერ ფედერერი (შვეიცარია), რაფაელ ნადალი (ესპანეთი), ენდი მიურეი (დიდი ბრიტანეთი), კეი ნიშიკორი (იაპონია), მილოშ რაონიჩი (კანადა), სტენ ვავრინკა (შვეიცარია), დავიდ ფერერი (ესპანეთი) და სხვები უდგანან.

**მანუჩარ გიორგაძე**

## ფეხბურთი

# მარტივით ჭირვეულნი

**ათასჯერ თქმულა, მთელი სეზონის მაღალ დონეზე გავლა შეუძლებელიაო, რაშიც წლევანდელი მადრიდის „რეალიც“ გვარწმუნებს.**

თავად განსაჯეთ: „სამეფო კლუბმა“ ქარს გაატანა პრიმერადივიზიონის სატურნირო ცხრილში მოპოვებული სოლიდური უპირატესობა და ჯერ „ვილიარეალთან“ (1:1), ხოლო შემდეგ „ბილბაოსთან“ (0:1) წაფორთხილების შემდეგ წამყვანი პოზიცია დაკარგა, ჩემპიონთა ლიგაში კი გაჭირვებით გააღწია მეოთხედფინალში.

**„რეალი“ – „შალკე“ 3:4**
**(პირველი მატჩი 2:0)**

ბუნებრივია, კარლო ანჩელოტის გუნდს სერიოზული პრობლემები ტრავმების ეპიდემიამ შეუქმნა (რამოსი, მოდრიჩი, ხამეს როდრიგესი), რასაც ხაბი ალონსოს დისკვალიფიკაციაც დაერთო, მაგრამ ტურნირის მოქმედი ტრიუმფატორი და მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, დაგვეთანხმებით, მაინც ღირსეულად უნდა მიიწევდეს წინ, მით უმეტეს მაშინ, როცა მეტოქეს უფრო მეტი საკადრო დეფიციტი აქვს და ძირითადი შემადგენლობის ნახევარი ლაზარეთში ჰყავს გამწესებული.



**გოლები:** რონალდუ (2), ბენზემა; ფუხსი, ჰუნტელაარი (2), სანე.

მოულოდნელად განვითარდა მოვლენები პორტუგალიაში, სადაც საგრძნობლად დაუძლურებულმა „პორტუმ“ განკითხვის დღე მოუწყო ყველასათვის კერკეტ კაკლად ქცეულ „ბაზელს“, რომელმაც გრიალ-გრიალით გაინაღდა შვეიცარიის ჩემპიონობა.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა ორი გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანეს.

**„პორტუ“ – „ბაზელი“ 4:0**
**(პირველი მატჩი 1:1)**

**გოლები:** ბრაჰიმი, ერერა, კაზემირო, აბუბაქარი.

**გიორგი შოთაძე**

## კალათბურთი



# მარკოიშვილმა მორიგი მატჩი გამოტოვა

**მოსკოვის ცსკა-ს ქართველმა კალათბურთელმა მანუჩარ მარკოიშვილმა მორიგი მატჩი გამოტოვა. მანუმ ტრავმა მოიშუშა და თითქოს ვოლგოგრადში „კრასნიე კრილიასთან“ შეხვედრაში უნდა ეთამაშა, თუმცა, არმიელთა თავკაცმა დიმიტრის იტუდისმა ის განაცხადში არ შეიყვანა.**

განვლილი ბრძოლა 2 კალათბურთელის დუელად იქცა. გამარჯვებულთა მხრიდან ფრანგმა ნანდო დე კოლომ 33 ქულა ჩააგდო, მასპინძელთა ამერიკელმა ლიდერმა რენდი კალპეპერმა კი 29 ქულა მოაგროვა. საბოლოოდ მოსკოველებმა 101:88 იმარჯვეს.

ცსკა-მ 21 მოგება და 3 მარცხი მოაგროვა და ვთბ ლიგის ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებს. მოსკოველებს მორიგი მატჩი 15 მარტს შინ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ ელით.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## სუმო

# „ქართული“ დღე ოსაკაში

**იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე მარტის სუპერტურნირის მე-4 დღე წარმატებული გამოდგა ქართველი სუმოისტებისთვის. წლევანდელ ჰარუ ბაშოზე პირველად მოხდა, რომ როგორც ტოჩინოშინმა, ისევე გაგამარუმ დოჰიო გამარჯვებულებმა დატოვეს.**

ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილმა ლევან გორგაძემ ერთადერთი მარცხის წილ მე-3 გამარჯვება (სუკუინაგეთი) აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა ტაკაიასუსთან იზეიმა. თავად ქართველი სუმოისტი დასავლეთის მე-4 მაეგაშირას წოდებით ირჯება, მომდევნო შერკინებას კი დასავლეთის მე-6 მაეგაშირა – ბრაზილიელ კაიოსთან გამართავს.

თანაბარ ბალანსზე (2 მოგება, 2 მარცხი) გავიდა თეიმურაზ ჯუღელი, იგივე გაგამარუ, რომელიც გაზაფხულის სუპერტურნირს დასავლეთის მე-15 მაეგაშირას ტიტულით შეხვდა და წაფორხილების უფლება აღარ აქვს, თორემ ძურიოში დაბრუნებას ვერ გადაურჩება. ქართველმა გოლიათმა ძურიოს პირველ ნომერ ჩიოტაირიუს ოშიდაშით სძლია.



ჰარუ ბაშოს მე-5 დღეს გაგამარუს პირისპირ დასავლეთის მე-16 მაეგაშირა ჩიომარუ დადგება, რომელსაც ასევე 2-2 მოგება-წაგება გააჩნია.

ამ დროისთვის მარტის სუპერტურნირს 8 დაუმარცხებელი მონაწილე ჰყავს, რომელთა შორის იოკოძუნა ჰაკუჰო და ოძეკები – გოეიდო და კოტოშოგიკუც იმყოფებიან, იოკოძუნა ჰარუმაფუჯის აქტივში კი 3 გამარჯვებაა.

**ბეჟან დოლიძე**

## ტრაგედია

# არგენტინაში ოლიმპიური ჩემპიონი კამილ მიუფა დაიღუპა

**ცურვაში ფრანგი ოლიმპიური ჩემპიონი კამილ მიუფა არგენტინაში ვერტმფრენების შეჯახების შედეგად დაიღუპა. ამის შესახებ სააგენტო Reuters-ი იუწყება.**

მიუფამ 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. მან 400 მეტრი თავისუფალი სტილით ოთხ წუთსა და 1,45 წამში გაცურა, რითაც ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. გარდა ამისა, მას ოქროს და 5 ბრინჯაოს მედალი მსოფლიო ჩემპიონატებზე მოუგია.



საერთი ჯამში ავიაკატასტროფას 10 ადამიანი ემსხვერპლა, რომელთაგან 8 საფრანგეთის მოქალაქეა. მიუფასთან ერთად ცნობილი იახტსმენი ფლორენს არტო და მოკრივე ალექსის ვასტინი დაიღუპნენ.

უბედური შემთხვევა ლა-რიოხაში მოხდა, რომელიც ბუენოს- აირესიდან 1170 კილომეტრითაა დაშორებული. ჰაერში ერთმანეთს დაახლოებით 100 მეტრის სიმაღლეზე ორი ვერტმფრენი შეეჯახა. იქ მსხდომნი რეალითი-შოუს მონაწილეები იყვნენ, რომელიც ექსტრემალურ ვითარებაში გამოსავლის მოძებნას ეძღვნებოდა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

დედაქალაქი

# მემორიალური სახლის უზადრუკი სიბერე

**წინასაარჩევნო, ასე ვთქვათ, „აქტიური სააგიტაციო კამპანიების წარმართვის“ პერიოდი, ტრადიციულად, დაპირებების უხვად გაცემის დროა, რომლებიც მერე, უკეთეს შემთხვევებში, „ნამცეც-ნამცეც“ თუ სრულდება ხოლმე.**

გამონაკლისი, ცხადია, არც ბოლო საპარლამენტო თუ თბილისის მერის არჩევნები იყო, როცა კანდიდატთა საპიარო აქცენტები ძველი უბნების მოსახლეთათვის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემაზე — საცხოვრებელი სახლების ავარიულ მდგომარეობაზე, მოძველებულ, ჟანგმოდებულ სახურავებზე, საერთოდაც, საცხოვრისთა ავარიულობასა და რაიონების მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურაზე კეთდებოდა.



სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ მხრივ ძველ უბნებში, მათ შორის, მთაწმინდაზე, ძალიან ბევრი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ გაკეთდა ისეთი რამ, რაც საყოფაცხოვრებო აუცილებლობას წარმოადგენდა, მაგალითად, არაერთმა საცხოვრებელმა სახლმა სახურავი გაიახლა, კოპწია „თუნუქის ქუდი“ მოირგო. აქა-იქ ზოგი სადარბაზოც და დამპალი კიბეც შეკეთდა, ზოგან ასფალტიც დაიგო... მაგრამ ესეც ხომაა, რომ წმინდა წყლის მატერიალურის გარდა, ჩვენი ცხოვრების უწინარესი სულიერი მდგენელია, რომლის ყველაზე უმთავრესი ნაწილი დიდებული წარსულის ხსოვნის სათუთად მოვლა-პატრონობაა?

ჰოდა, თუ ეს მართლაც ასეა და არა მხოლოდ ლიტონი სიტყვები, ჭეშმარიტად, დედაქალაქის მერიის, მთაწმინდის რაიონის გამგეობის მესვეურთა სირიცხვილია, რომ მთაწმინდაზე, ჩაიკოვსკის ქუჩაზე, ის სახლი, რომელშიც, როგორც ამას მასზე მიკრული აბრა გვამცნობს, **1890 წელს დიდი რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი ცხოვრობდა, დღენიადაგ ინგრევა**. დაგვეთანხმებით, ასეთი მემორიალური სახლები თბილისში არც მაინცდამაინც ბევრია შემორჩენილი და ახლა, როცა გეგმაშია მასშტაბურად უპრეცედენტო „პანორამა-თბილისის“ მშენებლობა, ასეთ ძველებურ, ჭეშმარიტად კოლორიტულ უბნებსა და ცალკეულ სახლებს, მოვლა გაათმაგებული რუდუნებით უნდა.



აუცილებლად გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ ძველი ქალაქიდან მთაწმინდაზე ასვლის მსურველი ტურისტების დიდი ნაწილი, ჭონქაძის ქუჩიდან სწორედ ჩაიაკოვსკის ქუჩის გავლით მიდის ფუნიკულიორის ქვედა სადგურამდე და საკუთარი თვალით ხედავს ულამაზესი ძველი უბნის, სადაც ძველი თუ ახალი ხელისუფლების არაერთი „ტუზი“ ცხოვრობს, ულიმღამო სიბერეს...

**ნინო ალექსანდრია**

# მთავარია „ნიკორელებს“ არ აწვიმთ...

**რაც დრო გადის, თბილისში ფეხით მოსიარულეთა გადასაადგილებელი სივრცე სულ უფრო მეტად კატასტროფების უხარისხო კინოფილმის უნიჭო დეკორაციებს ემსგავსება.**

„სითი პარკის“ გაკვალულ გზას, რომელიც ისევ გვძარცვავს ქალაქელებს, როგორც ეს წლების წინ დაიწყო დიდი წარმატებით და ტროტუარებიც ავტოსადგომებად გვიქცია, მერე და მერე გარე მოვაჭრეები, პატარ-პატარა მაღაზიების მეპატრონეები, სწრაფი გადახდის აპარატების მფლობელი კომერციული ბანკები და ა. შ. დაადგნენ. მოკლედ, ბევრი ქუჩის ტროტუარებზე გავლა თბილისში ახლა თითქმის ისევე საშიშია, როგორც მანქანების სავალი ნაწილის დაუკვირვებლად გადაკვეთა. ბევრგან ისეთი დაბრკოლება შეგხვდება კაცს, კოშმარულ სიზმარში გეგონება თავი. მაგალითად, ისეთი, როგორიც გაუფრთხილებელ გამვლელს წინამძღვრიშვილის ქუჩის №200-ის წინ ელის: ერთსართულიან შენობაში განთავსებული საფირმო მაღაზია „ნიკორას“ სახურავიდან წყლის სადინარი ღარი ზედ შუა ტროტუარზე... დაახლოებით მეტრნახევარ სიმაღლეზე ოდნავ მაღლა ისე ლაღად „გადმოდის“, რომ მთელი დღის მანძილზე ორი-სამი ათეული ადამიანი აუცდენლად ეჯახება, ცხადია, ყველაზე „სუსტი ადგილით“ — თავით...




„ნიკორელებს “ რა ენაღვლებათ, მათთვის მთავარია წვიმის წყალი არ ჩამოუვიდეთ და საქონელი არ დაუსველოს, ქუჩაში მიმსვლელ-მომსვლელის დარდი კი ისევე არა აქვთ, როგორც დიდუბის თუ ჩუღურეთის რაიონების გამგეობების ზედამხედველობის სამსახურების მესვეურთ — თავიანთ უბანში მოქალაქეებზე ზრუნვა, აბა, რა მათი საქმეა...

**ოთარ ტურაბელიძე**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ეპიტაფია

# თეთნულდ გონიტაშვილის მოსაგონარი

გარდაიცვალა ქართული თეატრის მსახიობი, თეატრმცოდნე, მეცნიერი და პედაგოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი **თეთნულდ გონიტაშვილი**.

დაიბადა 1935 წლის 5 ოქტომბერს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1957 წელს ჩაირიცხა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1960 წელს. შემდეგ მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, ხოლო 1965 წლიდან — კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.



1967 წელს ქალბატონი თეთნულდ გონიტაშვილი მიიწვიეს სოხუმში, ს. ჭანბას სახელობის სოხუმის დრამატულ თეატრში, სადაც 1974 წლამდე იმუშავა.

ამის შემდეგ იგი სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში ერთვება და მუშაობას იწყებს სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრაზე ესთეტიკის მასწავლებლად.

1988 წელს მოსკოვის მ. ი. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში თეთნულდ გონიტაშვილმა ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „კოტე მარჯანიშვილის ესთეტიკური შეხედულებანი“.

ამის შემდეგ თ. გონიტაშვილი უბრუნდება აფხაზეთს, თავის უმაღლეს სასწავლებელს და განაგრძობს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

პერიოდულად სხვადასხვა გამოცემაში ქვეყნდება მისი სამეცნიერო შრომები თუ პუბლიცისტური წერილები ეთიკისა და ესთეტიკის აქტუალურ საკითხებზე. მისი კვლევის ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური შეხედულებები.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების პერიოდში ქალბატონ თეთნულდს წუთით არ დაუტოვებია მისთვის ესოდენ საყვარელი სოხუმი. ქართველთაგან დაცლილ ქალაქს იგი მხოლოდ მოგვიანებით გაარიდეს კეთილმა ადამიანებმა, რომელთა შორისაც აფხაზი ეროვნების მისი ყოფილი სტუდენტებიც იყვნენ.

თეთნულდ გონიტაშვილი დევნილობის წლებშიც განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დღეს ამ ქალბატონს უდიდესი სითბოთი იხსენებენ მისი მეგობრები, ყოფილი კოლეგები თუ სტუდენტები. ბევრი მათგანისთვის უსაყვარლესი ლექტორი დედობრივი მზრუნველობისა და მეგობრობის განსახიერებად იქცა.

აფხაზეთში ატეხილი ომის ქარცეცხლს გამოატარა და ქართველ ხალხს შემოუნახა ქალბატონმა თეთნულდ გონიტაშვილმა დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის პირადი წერილები, რომლებიც დღეს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ეს წერილები იყო ერთადერთი, რაც უკვე ასაკოვანმა მანდილოსანმა სოხუმიდან ჩამოიტანა. ტელეკომპანია „იმედმა“ ამ ფაქტს „იმედის გმირების“ სერიით სპეციალური გადაცემაც მიუძღვნა.

ქალბატონი თეთნულდი უმშვენიერესი ლირიკული ლექსების ავტორია. 2007 წელს გამოცემული პოეტური კრებული „ამაღლება“ ავტორისეულ კრედოს წარმოაჩენს.

მსუბუქი იყოს ქართული მიწა ქალბატონი თეთნულდისთვის, მიწა, რომელსაც ის ეთაყვანებოდა, რომელსაც მან ალალი და მართალი გულით გამთბარი მთელი სიცოცხლე მიუძღვნა!..

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სანთელი

# იოსებ (კუკური) ლალიაშვილი



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის №156 ჯგუფის 1950 წლის კურსდამთავრებული მეგობრები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი მეგობარი, უმაღლესი რანგის ინჟინერ მშენებელი, დიდი ქართული ოჯახის მამა და ბაბუა, თავის ქვეყანასა და განსაკუთრებით ქ. ქუთაისზე უზომოდ შეყვარებული **იოსებ (კუკური) ლალიაშვილი**.

ბატონმა კუკურიმ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, როგორც ინჟინერმა მშენებელმა მოახმარა თავის სამშობლოს და განსაკუთრებით თავის მშობლიურ ქალაქ ქუთაისის განაშენიანებას, რომელსაც მთელი თავისი ცოდნა და ენერგია ბოლომდე შეალია. ბატონი კუკური, რომელიც ნამდვილად ითვლებოდა ქ. ქუთაისის კოლორიტად, მიუხედავად მრავალი ბედუკუღმართობისა მის პირად ცხოვრებაში, მუდამ წარმოადგენდა სანიმუშო მაგალითს იმისას, თუ როგორ უნდა ემსახურო შენ ხალხს, სამშობლოსა და მეგობრებს.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომლის წასვლამაც უზომო ტკივილი დაუტოვა არა მხოლოდ მის ოჯახს, არამედ მთელ სამეგობროს და ყველას, ვინც მას პირადად იცნობდა.

დაე, მსუბუქი იყოს მისთვის მისი საყვარელი მშობლიური მიწა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ლამარა მასხარაშვილი, იამზე ფანცხავა, ნათელა ჭედია, ადიკო გვალია, გია გიგიბერია, ირაკლი მილორავა, ნოდარ მეძმარიაშვილი, კოტე უჩანეიშვილი, გუგა ჭოხონელიძე.**

**მეუღლე ლია ჭაჭია, შვილი გია, შვილიშვილები ელენე, ანა მესხიშვილები, რძალი ნინო ლალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**კოტე მესხიშვილი**



**პანაშვიდი 12, 13 III, მის. ილია ჭავჭავაძის პრ. 2/12. გამოსვენება წმ. პანტელეიმონის ეკლესიიდან 15 სთ. (ვერის სასაფლაო).**

**და მერი, ძმა გივი, ძმისწულები მარიკა, ლევან მესხიშვილები, დეიდაშვილები მაია, გივი მებონიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**კოტე მესხიშვილი**

**გურამ (კოია) გომართელი, მამუკა ვაშაკიძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარსა და კეთილშობილ ადამიანს, თბილისის ძველ ტრუბადურს გივი მესხიშვილს უსაყვარლესი ძმის**

**კოტე მესხიშვილის**

**გარდაცვალების გამო და ღრმა მწუხარებით იზიარებენ ოჯახისა და ახლობლების მწუხარებას.**

რეკლამა 299-62-77; 568 82-09-84..

ჩვენი კარაბადინი

# ახალგაზრდობის რეცეპტები

**სხვადასხვა ხალხს ახალგაზრდობის შენარჩუნების თავიანთი საიდუმლოებები აქვს. სადღაც ისინი სამეცნიერო კვლევებს ემყარება, სხვაგან ტრადიციებსა და პირად გამოცდილებას. იქნებ, ზოგიერთი რამ თქვენც გამოგადგეთ. აი, მაგალითად, სიახალგაზრდავისა და დღეგრძელობის რეცეპტი...**

... **ინგლისურად**. ბრიტანელი მეცნიერების მონაცემებით, ის ადამიანები, რომლებიც სკოლიდან წავიდნენ უფროს კლასებამდე სანამ მიაღწევდნენ, საშუალოდ 9,3 წლით უფრო ცოტას ცხოვრობენ, ვიდრე მათი განათლებული თანაკლასელები. ეტყობა, ისინი შემდეგ უფრო ნაკლებ ჯანსაღ ცხოვრების წესს მისდევენ. სხვათა შორის, არ არის გასაკვირი, რომ მკვლევარებს კემბრიჯის უნივერსიტეტიდან ცამდე აჰყავთ უმაღლესი განათლება!

... **გერმანულად**. ამ ერის წარმომადგენლები აცხადებენ: სექსი სამჯერ კვირაში გვეხმარება გამოვიყურებოდეთ 7-12 წლით უფრო ახალგაზრდად. ხოლო, თუ 10 წლის განმავლობაში თქვენ რეგულარულად განიცდით ორგაზმს, ვადამდელი გარდაცვალების რისკი 50 პროცენტით მცირდება. თქვენ წარმოიდგინეთ, მხოლოდ გერმანულ წესრიგიანობას აქვს კიდევ უნარი დაიანგარიშოს სარგებელი კმაყოფილებისგან!

... **ფრანგულად**. მიირთვით ნაკლები ტკბილეული, მოგვიწოდებენ აქაური კოსმეტოლოგები! შაქარი უტევს კანის ძვირფას ბოჭკოებს – კოლაგენსა და ელასტინს, რომლებიც მას ელასტიკურსა და მყარს ხდიან. ფრანგი კოსმეტოლოგები ამის მაგალითად გვთავაზობენ: ჩადეთ რბილი ნაზი ტყავის ხელთათმანები შაქრის სიროფში, შემდეგ კი გააშრეთ – აი, იგივეს უკეთებთ თქვენ საკუთარ კანს! შორს ტკბილეულობა, მეტი სხვადასხვაგვარი მწვანე სალათი (მხედველობაში აქვთ არა დაჭრილი ბოსტნეულის ნარევი, არამედ ფოთლოვანი სალათი).



... **შვედურად**. აქ მეცნიერები ებრძვიან ნახევარფაბრიკატებს და ფასტფუდის ჭამას. ამბობენ, რომ ისინი კანს აძლევენ მარგარინის მაგვარ ტრანსცხიმების მნიშვნელოვან ულუფას. ქიმიური მეცნიერების ეს მიღწევები აიძულებენ უჯრედების კედლებს ლამის ხისანი გახდნენ. ერთ-ერთი კოსმეტოლოგის ხატოვანი მაგალითის მიხედვით, სახე ვაშლივით ხდება, რომელიც გაფცქვნეს და დატოვეს ჰაერზე: ესე იგი მუქდება და ხმება.

... **კანადურად**. აქ ფსიქოლოგები გვაძლევენ ხუთ რჩევას, რომლებიც აუცილებლად გაზრდიან თქვენს სიცოცხლეს თითოეული – 6 წლით.

**მაშ ასე:**

**. იყოლიეთ კატა;**

**. ნუღა ინერვიულებთ და გათავისუფლდით უძილობისგან;**

**. უარი თქვით ფასტფუდზე და მოიშორეთ ზედმეტი წონა;**

**. მიიღეთ უმაღლესი განათლება;**

**. მონახეთ თქვენთვის ქმარი ან ცოლი, რომლებიც თქვენ ბედნიერს გაგხდიან.**

... **ანდორულად**. ევროპის ამ ნამცეცა ქვეყანაში მეტად მაღალია სიცოცხლის ხანგრძლივობა – საშუალოდ 83 წელი. შანსი კი გახდეს დღეგრძელი 5-ჯერ მეტი აქვთ იმათ, ვისი დედაც და მამაც თავადაც დღეგრძელები არიან. გვრჩება მხოლოდ ის, რომ ავირჩიოთ მშობლები!

... **ინდურად**. წყალი ადნობს ნაოჭებს, ამტკიცებენ ადგილობრივი მკვლევარები. მაგალითად მოჰყავთ ყურძენი და ქიშმიში: ხედავთ, როგორ ნაოჭდება წვენით სავსე, ლამაზი ხილი, თუ მას გამოვაშრობთ? შენიშნეთ, რომ ნაოჭები გაძლიერდა – სვით 2 ლიტრი სითხე ყოველდღე! სინოტივის დონე 48-56 საათში უნდა აღდგეს. თუმცა, თუ შეშუპებას მიიღებთ, მაშასადამე, ეგზოტიკი მეცნიერების რჩევა თქვენთვის მიუღებელია.

* * *

**არსებობს ჩვენი სამამულო რეცეპტი? ეტყობა, მას შეიძლება მივაკუთვნოთ რჩევა – უფრო დიდხანს ვიყოთ სუფთა ჰაერზე ნებისმიერ ამინდში, მივიღოთ ნატურალური პროდუქტები ხილისა და ბოსტნეულის უპირატესობით და არ დავივიწყოთ ფიზიკური ვარჯიშები. კარგი ამინდი და ლამაზი ბუნება ყოველთვის გვიუმჯობესებს განწყობილებას. კარგი განწყობილება კი – ყველასთვის ნაცნობი დაბრკოლებაა სიბერისკენ მიმავალ გზაზე.**

ტესტი

# თქვენი უსაფრთხოება

**XXI საუკუნეში, როდესაც სამხედრო კონფლიქტებმა, ტერორიზმმა და სხვადასხვა კრიმინალურმა გარჩევებმა უნახავი გაქანება შეიძინეს, პიროვნული უსაფრთხოების თემა პირველ პლანზე გამოდის. ეს ტესტი დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად გრძნობთ თქვენს დაცულად.**



**1. თუ ამჩნევთ საკუთარ თავზე, რომ უფრო ყურადღებით ადევნებთ თვალყურს ახალი ამბების პროგრამებს?**

ა) ახალი ამბების პროგრამას უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობ, ვიდრე ადრე.

ბ) არა.

გ) კი, ახალი ამბებისადმი უფრო მეტ ინტერესს ვიჩენ.

**2. ცოტა ხნით ქალაქიდან რომ გადიხართ, როგორ ცდილობთ, რომ დაიცვათ თქვენი ბინა?**

ა) მაქვს იმედი რკინის კარისა და გისოსებისა ფანჯრებზე.

ბ) ბინას დასაცავად პოლიციას ვაბარებ.

გ) მეზობლების სიფხიზლის იმედი მაქვს.

**3. უკანასკნელ ხანებში ხშირად თუ გემართებათ მკვეთრი ცვლილებები განწყობილებაში?**

ა) დიახ, ხშირად.

ბ) ზოგჯერ.

გ) პრაქტიკულად არასოდეს.

**4. როდესაც შუა ქუჩაში უპატრონოდ მიტოვებულ ჩანთას დაინახავთ, როგორ მოიქცევით?**

ა) მშვიდად ჩავუვლი გვერდით.

ბ) ეს შემაშფოთებს, მაგრამ არაფერს გავაკეთებ.

გ) ამის შესახებ ვაცნობებ პოლიციას.

**5. თქვენი აზრით, რომელია ყველაზე უსაფრთხო ადგილი ავტომობილისთვის?**

ა) ბინის ფანჯრების ქვეშ მანქანაში პირველი კლასის სიგნალიზაციის არსებობის დროს.

ბ) დაცული გაჩერებები.

გ) ასეთი ადგილები ახლა არ არის.

**6. ღამით ან გვიან საღამოს ქუჩაში...**

ა) გეუფლებათ განგაში.

ბ) ვერ გრძნობთ საფრთხეს.

გ) საერთოდ არ ჩნდებით.

**7. თუ გქონიათ როდესმე საქმე „ცალხელა ბანდიტთან"?**

ა) რა არის ეს?

ბ) კი, იყო ასეთი საქმე.

გ) არა, მაგრამ ცდუნება არის.

**8. თუ იცნობთ სახეზე თქვენი უბნის პოლიციელს?**

ა) არა.

ბ) ვიცი, რა ჰქვია, მაგრამ პირადად არასოდეს.

გ) კი, ვიცნობ.

**9. უკანასკნელი წლის განმავლობაში თუ აღმოჩნდით სხვადასხვა სახის აფერისტების, მათ შორის, საფინანსო აფერისტების მსხვერპლი?**

ა) არა.

ბ) ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ ჩემი სიფრთხილე დამეხმარა თავიდან ამეცილებინა ეს.

გ) დიახ.

**10. როგორ უყურებთ ისეთი კანონის შესაძლო მიღებას, რომელიც მოქალაქეებს აძლევს ნებას შეიძინონ და შეინახონ ცეცხლსასროლი იარაღი?**

ა) არ გამოვრიცხავ, რომ დრო ასეთი კანონისთვის დადგა.

ბ) რა მნიშვნელობა აქვს: ვისაც უნდა – ახლაც აქვს ყველა შესაძლებლობა შეიძინონ და შეინახონ კიდეც.

გ) უარყოფითად.

**შეაჯამეთ ქულები ცხრილის გამოყენებით და გააკეთეთ დასკვნებს**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 2 | 1 | 1 | 3 | 2 | 2 | 3 | 1 | 3 | 1 |
| ბ | 3 | 3 | 2 | 2 | 3 | 3 | 1 | 2 | 2 | 2 |
| გ | 1 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 1 | 3 |

**10-16 ქულა. თქვენ ვერ გრძნობთ თავს დაცულად, ხოლო, როდესაც კრიმინალურ ქრონიკას უყურებთ, თავს ხშირად უსვამთ შეკითხვებს: ვინ არის დამნაშავე და რა უნდა ვქნათ? ნებისმიერი ფსიქოლოგი გიპასუხებთ: უბრალოდ, უნდა იცოცხლო, ვინაიდან თუ არისტოტელეს პერეფრაზირებას მოვახდენთ, თუ ადამიანს არაფრის ეშინია, ის, ალბათ, ან ეშმაკეულია, ან უიმედოდ შტერი. და მაინც ყველაფრის გულთან მიტანაც არ ღირს.**

**17-23 ქულა. ალბათ, თქვენ ხშირად გიწევთ იღელვოთ თქვენთვისაც და თქვენი ახლობლებისთვისაც. რასაკვირველია, თქვენ იცით სათანადო პოლიციის ნომერი, მაგრამ მუშაობს კი ეფექტიანად ეს სამსახური, თქვენ ეს არ იცით, ვინაიდან ბავშვობიდან აითვისეთ გაკვეთილი: ვინც იხრჩობა, თავად მან უნდა უშველოს თავს. გაიხსენეთ, რომ სწორედ თქვენს სახსრებზე, როგორც გადასახადების გადამხდელზე, ინახავენ უწყებებს, რომლებიც ვალდებული არიან მოგცენ უსაფრთხოების გარანტია, და სანამ არ ისწავლით, მოითხოვოთ თქვენი ფულისთვის მაღალხარისხიანი მომსახურება, იმედი უმთავრესად მხოლოდ თქვენი თავისა უნდა გქონდეთ.**

**24-30 ქულა. არ გამოვრიცხავთ, რომ თქვენ თავს სავსებით დაცულად გრძნობთ, თუმცა, უფრო მეტად იმის გამო, რომ თქვენ თავადაც შეგიძლიათ დაიცვათ თავი ნებისმიერ სიტუაციაში, სხვათა შორის, აუცილებლობის შემთხვევაში მზად ხართ იქონიოთ სამართალდაცვის ორგანოების იმედი.**

**რეკლამა**

**299-62-77;**

**568 82-09-84.**

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

**– მამი, დღეს მაინც ფხიზელი მოდი ბაღიდან ჩემს გამოსაყვანად რა? – ეხვეწება მიხო ნიკას.**

**– რა მოხდა, შვილო?**

**– რა და, ამ ბოლო დროს ჩემს ნაცვლად სულ ჩემი მასწავლებელი ქალი მიგყავს...**

* * *

**ყოველ მამაკაცს, გინდა-არ გინდა, მაინც უჩნდება აზრი, რა ჯანდაბად დავქორწინდიო. და პირველად ეს ქორწინების მეორე დღეს გაუელვებს ხოლმე თავში.**

* * *

**– ახლა რაიმე წიგნს კითხულობ?**

**– კი.**



**– რომ ჩაიკითხავ, მათხოვებ?**

**– არ ჩავიკითხავ.**

* * *

**ჩაიწერე შენი ხმა. მოუსმინე ჩანაწერს. დაფიქრდი: შენ გარშემო მყოფნი ამ ხმას ყოველდღე ისმენენ.**

**დააფასე ისინი ამის გამო!**

* * *

**იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში, ბოლოს და ბოლოს, ნორმალური ცხოვრების პირობები იყოს, ორი რამაა საჭირო – რათა ხალხმა დაიწყოს მუშაობა, მთავრობამ კი მიატოვოს.**

* * *

**იცით, რატომ არის ქალთა დღე სწორედ 8 მარტს?**

**იმიტომ, რომ ქალი მსოფლიოს მერვე საოცრებაა.**

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"

(ტ: 599 79-76-79)

შპს „ახალი საუკუნე"

იბეჭდება „კოლორში"

(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)

ს–323

ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი

ალეკო ასლანიშვილი

299-62-77;

599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;

რუსლან რუსია 599 17-21-21;

სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24